საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 126 (928) | შაბათი, 16 ივლისი, 1994 წელი. | ფასი [illegible]

# სამშვიდობო ძალები — კარგი დასაწყისი!

**აფხაზეთის პროცესი ახლა იწყება. სამშვიდობო ძალების არსებულ კონტინგენტს ახალი რეზერვები დაემატება. ასეთი შევსების აუცილებლობაზე აფხაზური მხარეც თანხმდება. პრაქტიკულად ამის შესახებ მოლაპარაკება უკვე გაიმართა. არცთუ წარუმატებლად წარიმართა მოლაპარაკება კოდორის ხეობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან, მოხალისეთა მეთაურებთან, მეორე მხარის წარმომადგენლებთან, რომლებსაც იქ შეიარაღებული რაზმები ჰყავდათ. ვფიქრობ, კარგი დასაწყისია. ამის გარანტია ის არის, რომ ამ ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალების ქვეგანაყოფებმა უკვე დაიწყეს მოქმედება.**

**ედუარდ შევარდნაძე.**

(11 ივლისის რადიოინტერვიუდან).

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უშიშროების საბჭოს ურჩია განახორციელოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად პირველი ერთობლივი სამშვიდობო ოპერაცია აფხაზეთში

გაერო, 15 ივლისი (იტარ-ტას-საქინფორმი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ უშიშროების საბჭოს ურჩია განახორციელოს პირველი ერთობლივი სამშვიდობო ოპერაცია აფხაზეთში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად. ეს ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში „აფხაზეთის ვითარების შესახებ“, რომელიც უშიშროების საბჭოს განსახილველად წარუდგინა.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 14 მაისს მოსკოვში ქართველთა და აფხაზთა მხარეებს შორის დაიდო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და დაშორიშორების შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა ყოფნის გაფართოება ამ შეთანხმების დაცვისადმი კონტროლისათვის. ამ მიზნით გაიმართა კონსულტაციები საქართველოს მთავრობასთან, აფხაზთა ხელისუფლებთან და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან, რომელთა დროს შეათანხმეს საქართველოში ვითარებისადმი მეთვალყურეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის გაფართოებული მანდატი.

ბუტროს გალიმ თქვა, რომ ახალი მანდატის შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში ვითარებისადმი მეთვალყურეობის მისიას წინადადება ეძლევა შეასრულოს შემდეგი ამოცანები: მეთვალყურეობა გაუწიოს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ და გამოიძიოს ამ შეთანხმების დარღვევები; მეთვალყურეობა გაუწიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მოქმედებას; განახორციელოს პატრულირება უსაფრთხოების ზონასა და შეიარაღების შეზღუდვის ზონაში; გააკონტროლოს მძიმე საბრძოლო ტექნიკის შენახვის რაიონები; კონტროლი გაუწიოს საქართველოს ჯარების გაყვანას კოდორის ხეობიდან; რეგულარული პატრულირება აწარმოოს კოდორის ხეობაში.

შეეხო რა აფხაზეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო ოპერაციის კონცეფციას, ბუტროს გალიმ აღნიშნა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში ვითარების მეთვალყურეობის მისია იმოქმედებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ მათთან ექნება მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია... ოთხ დონეზე: ძალების შტაბების, სექტორებში ზონალური შტაბების, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ბატალიონებთან გაეროს საქართველოში მეთვალყურეობის მისიის ჯგუფის, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პატრულებთან ამ მისიის პატრულის დონეზე... გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხება როგორც აღნიშნულ მისიას, ისე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებს, უნდა მიიღონ კონსულტაციათა საფუძველზე... თუ სამშვიდობო ძალები საჭიროდ მიიჩნევენ დაიწყონ სამხედრო მოქმედება თავდაცვისათვის, მაშინ მათი ძალები უზრუნველყოფენ აღნიშნული მისიისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა პერსონალის უსაფრთხოებას“.

„აღნიშნული ამოცანების შესრულების მიზნით ოპერაციის აღწერილი კონცეფციის შესაბამისად ნავარაუდევია, რომ გაეროს საქართველოში მეთვალყურეობის მისიას საერთო ვარაუდით დასჭირდება 136 სამხედრო თანამშრომელი... 12 ივლისის მდგომარეობით ამ მისიის რიცხვი შეადგენდა 39 სამხედრო მეთვალყურეს. მისიის მოქმედების რაიონში 55 სამხედრო მეთვალყურის გაგზავნა, მისი რიცხვის დამტკიცებულ დონემდე გადიდების მიზნით, უნდა დამთავრდეს ივლისის დამლევისათვის. მთავარმა სამხედრო მეთვალყურემ შექმნა სექტორების ორი შტაბ-ბინა გალსა და ზუგდიდში“, — ნათქვამია მოხსენებაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები აფხაზეთში შედიან ექვსი თვის ვადით, ბუტროს გალის რჩევაა „დაამტკიცონ ზემოთ აღნიშნული მისიის გაფართოებული მანდატი შესაბამისი რიცხვით, ასევე ექვსი თვის პერიოდისათვის“. აღნიშნავს რა, რომ სიტუაცია ადგილებზე შედარებით მშვიდია და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების ჩასვლასთან ერთად რაიონში ვითარება გაუმჯობესდა, ბუტროს გალიმ უშიშროების საბჭოს აუწყა, რომ ლტოლვილთა რეპატრიაციის პროცესი „შეიძლება დაიწყოს სექტემბრის პირველ რიცხვებში“.

„თუ უშიშროების საბჭო მიიღებს ჩემს რეკომენდაციებს, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა საბჭო გაეროს საქართველოში მეთვალყურეობის მისიის მანდატის გაფართოების საკითხს განიხილავს მასში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყოფილ რესპუბლიკაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ შექმნილი სამშვიდობო ძალების გამოყენებას მეთვალყურეობისა და კონტროლის ფუნქციების შეტანის მიზნით. ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი თანამშრომლობის ახალ გზაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და რეგიონულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს შორის მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციათა დარგში, როგორც ეს კეთდება ამერიკის, აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციასთან, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციასთან, ევროპის გაერთიანებასთან და ნატოსთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პირველი ერთობლივი ღონისძიება ხელს შეუწყობს ამ მოუსვენარ ეპოქაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის სახელმწიფოთა ძალისხმევის ეფექტიანობის ამაღლებას“, — ხაზი გაუსვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯო სილსმა განაცხადა, უშიშროების საბჭო 21 ივლისს დაიწყებს აფხაზეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციის საკითხის განხილვას.

## მოინახულა საკონტროლო გამშვები პუნქტები

18 ივლისიდან უსაფრთხოების ზონაში იმყოფება სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საკოორდინაციო საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის წევრი ჯაბა იოსელიანი.

15 ივლისს ბატონი ჯაბა იოსელიანი შეხვდა წალენჯიხის რაიონის მოსახლეობასა და გამგეობის ხელმძღვანელებს. მოინახულა წალენჯიხის რაიონში განლაგებული სამშვიდობო ძალების რუსეთის საჯარისო ნაწილების საკონტროლო გამშვები პუნქტები.

## ხელშეკრულებები რომ არ დაირღვეს

სააგენტო „იბერიას“ ცნობით, დღეს ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ჯარების შტაბის წინ, მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით მოეწყო მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობდა კავშირის გენერალური მდივანი ზურაბ ჟვანია. მანიფესტანტებს ჰქონდათ ლოზუნგები: „რუსეთი-საქართველო — სამუდამო მეგობრები“, „რუსეთო, დაეხმარე ჩვენს შვილებს დაბრუნდნენ აფხაზეთში“ და სხვა. მანიფესტანტების თქმით, ამ აქციის მიზანია რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მათი ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყროს იმას, რომ არ დაირღვეს ამ ორ ქვეყანას შორის მიღწეული ხელშეკრულებები და აფხაზთა მხარემ უსიტყვოდ შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები ლტოლვილთა აფხაზეთში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

### „იბერიის“ ლენტიდან

## ექსპრეს-ინფორმაცია

**დღეს** გორის სასწავლო ცენტრში საზეიმო ვითარებაში გაიმართება ახალწვეულთა ფიცის მიღება. ამ ცერემონიალს დაესწრებიან საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვარდენ ნადიბაიძე და სხვა სამხედრო პირები.

**ხონში** უახლოეს მომავალში მწყობრში ჩადგება ახალი აპარატურა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დაამყარონ პირდაპირი კავშირი თანამეგობრობის ქვეყნებთან.

**ზუგდიდში** გაიხსნა საბაჟო დეპარტამენტის ქ. ფოთის საბაჟო წარმომადგენლობა, რომელიც უზრუნველყოფს ზუგდიდის, წალენჯიხის, მესტიის, ხობის რაიონებიდან საქონლის გატანისა და შემოტანის დროს საბაჟო მომსახურეობას.

**14 ივლისს** ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში დააკავეს ექს-პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირების 11 წევრი, მათ ჩამოართვეს ავტომატები, ნიღბები, ვიდეოკამერა და ვიდეომაგნიტოფონი.

## ლტოლვილნი

### თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობა

**აფხაზური** მხარის წარმომადგენლობამ მოსკოვში გაავრცელა საპროტესტო განცხადება, რომელშიც ქართულ მხარეს ბრალი დასდო ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 14 მაისის ხელშეკრულების დარღვევაში, ხოლო ამის საფუძვლად მიიჩნიეს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, გენერალ-მაიორ გურამ ნიკოლაიშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ ქართული მხარე კოდორის ხეობიდან სახალხო ლაშქრის გამოყვანის წინააღმდეგია.

ზუგდიდში განლაგებული საქართველოს სამხედრო მეთვალყურეთა შტაბიდან თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელმა, ლეიტენანტმა თენგიზ გოგოტიშვილმა მოგვაწოდა გენერალ-მაიორ გურამ ნიკოლაიშვილის განცხადება:

**— აფხაზური მხარის პროტესტი ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. საქართველო განუხრელად იცავს ოთხმხრივი ხელშეკრულების ყველა პუნქტს, მათ შორის იმასაც, რომელშიც ნათქვამია, რომ კოდორის ხეობა უნდა დატოვონ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა. შეთანხმებით გაუთვალისწინებელი პუნქტების შესრულება ქართულ მხარეს არ ევალება, რაც იმას გულისხმობს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც თავის მიწა-წყალს იცავდა, არ დატოვებს კოდორის ხეობას.**

### სეპარატისტთა ახალი ხრიკები

**ამ ბოლო ხანს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ოფიციალური და არაოფიციალური წყაროების დამოწმებით სისტემატურად გადასცემენ ცნობებს, რომ აფხაზი ბოევიკები და პოლიციელები დევნიან გალის რაიონის იმ მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომლებსაც არ მიუტოვებიათ მშობლიური კერები იმის იმედით, რომ ხელს არავინ ახლებდა. მაგრამ მათი იმედები ილუზორული აღმოჩნდა. აფხაზეთიდან მიღებული ინფორმაცია მოწმობს, რომ სეპარატისტები აფართოებენ და „ახლებენ“ თავიანთი მუშაობის მეთოდებს. როგორც ცნობილი გახდა, ამას წინათ აფხაზი ბოევიკების ზემოქმედებით გალის რაიონის სამ სოფელში — ჩხორთოლში, ხანარდოსა და ბედიაში გაიმართა ადგილობრივ მცხოვრებთა კრებები, რომლებზეც მიიღეს გადაწყვეტილება, სთხოვონ აფხაზ ხელმძღვანელობას ეს სამი სოფელი გადასცენ ოჩამჩირის რაიონს. ეს საკითხი უახლოეს ხანში უნდა განიხილოს აფხაზეთის პარლამენტმა.**

### გზად აფხაზეთისკენ!

გალის რაიონის სოფლების ოჩამჩირის რაიონის ხელმძღვანელობისათვის დაქვემდებარება მრავალ სუბიექტურ მიზეზთან და შესაძლო შედეგებთან არის დაკავშირებული. ალბათ, აფხაზ ლიდერებს პერსპექტივაში მაინცდამაინც არ სჯერათ, რომ ისინი შესძლებენ გალის რაიონის შენარჩუნებას, რომელიც განთქმულია ბარაქიანი და შრომისმოყვარე მოსახლეობით. ამიტომ აფხაზი ლიდერები ცდილობენ გალის რაიონის ის სოფლები მაინც ჩაიგდონ ხელში, რომლებიც ოჩამჩირის რაიონს ესაზღვრებიან. როგორც ჩანს, მათ იმედი აქვთ, რომ სამარადჟამოდ გაუწევენ კონტროლს ოჩამჩირის რაიონს და არ უფიქრდებიან, რომ დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს და თავიანთი მოქმედებისათვის პასუხისგება კანონის წინაშე მოუწიოთ.

და კიდევ, სხვადასხვა წყაროებიდან ამ ბოლო ხანს მოდის ცნობები, რომ აფხაზმა ხელმძღვანელებმა სოხუმის, აფხაზეთის სხვა ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებლებს მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებში წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული მასალები (ზეპირი, წერილობითი, ფოტო, ვიდეო და სხვ) იმ მცხოვრებთა შესახებ, რომლებიც 1992-1993 წლებში საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, საქართველოს მთავრობას ეხმარებოდნენ აფხაზთა და ჩრდილოეთკავკასიელთა შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ ომში მონაწილეობდნენ. აფხაზი ხელმძღვანელების ეს თხოვნა ფაქტობრივად შეიძლება შეფასდეს როგორც მოწოდება დაასმინონ თავიანთი მეზობლები, ნაცნობები და უცნობები. ვიღაცა ხომ მოხარული იქნება აამოს ხელმძღვანელობას და რაც მოესურვება, ის გამოიგონოს და თქვას. ეს თხოვნა უწინარესად იმ აფხაზებისადმია მიმართული, რომლებიც ომის დროს სოხუმში იყვნენ, არ დაუტოვებიათ ქალაქი, და ამიტომ „ქართველების ხელშემწყობებად“ იყვნენ გამოცხადებული, ბევრს კი აფხაზი ხალხის მოღალატეები უწოდეს. ახლა მათ შანსი ეძლევათ აფხაზ ხელმძღვანელობას ერთგულება დაუმტკიცონ.

ვიცით, რომ სოხუმელ აფხაზთა გარკვეული ნაწილი წესიერებითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა, გვინდა გვჯეროდეს, ისინი არ წამოეგებიან სეპარატისტთა ანკესს და ცილს არ დასწამებენ თავიანთ მეზობლებს, მეგობრებს, ნაცნობებსა და ნათესავებს.

**თენგიზ პაჭკორია.**

### გაეროს წარმომადგენლები კოდორის ხეობაში

**გაეროს წარმომადგენლები მაიორ კრისტიენსენის ხელმძღვანელობით აჟარაში შეხვდნენ კოდორის ხეობაში მყოფი საქართველოს სამხედრო ჯგუფის მეთაურს პოლკოვნიკ ჯუმბერ ანანიძეს, ადგილობრივ მოლაშქრეთა ბატალიონის ხელმძღვანელს ემზარ კვიციანს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას.**

**ეს გაეროს წარმომადგენელთა პირველი გამოჩენაა კოდორის ხეობაში. მათ სურდათ მიეღოთ ზუსტი ინფორმაცია, თუ რა აზრისაა კოდორის ხეობაში განლაგებული სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი მოსახლეობა სამშვიდობო ძალების მიერ ხეობის კონტროლზე აყვანასთან დაკავშირებით.**

### სამშობლოში მშვიდობიანი დაბრუნებისათვის

**ენგურისაკენ სამშვიდობო მსვლელობის მონაწილეებმა წერილით მიმართეს გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს გალის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.**

**წერილში კერძოდ, ნათქვამია:**

თითქმის ორი წელიწადია გრძელდება აფხაზეთის ტრაგედია, დანგრეული, გადამწვარი და გაჩანაგებულია საქართველოს შავიზღვისპირეთის მარგალიტი — აფხაზეთი. უაზრო და უგნურმა ომმა შეიწირა ქართველების და აფხაზების, ამ მიწაზე მცხოვრები რუსების, სომხების, უკრაინელების, ბერძნებისა და სხვა ხალხების საუკეთესო შვილები. ლტოლვილად იქცა და ჩვენი მშობლიური კერა დატოვა სამასმა ათასმა კაცმა. მტრობამ ზიზღმა და გაუტანლობამ დაისადგურა ხალხებში, სადაც ერთ მიწაზე, ერთი ცის ქვეშ, ხშირად ერთ ჭერქვეშ და ერთ აკვანში ზრდიდნენ შვილებს, ქმნიდნენ ნათესაობისა და მიმტევებლობის უბადლო ტრადიციებს.

მიუხედავად თავსდამტყდარი უბედურებისა და საშინელებისა, ქართველებმა და აფხაზებმა, სხვა ხალხებმა კვლავ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ერთად ავაშენოთ დანგრეული ქვეყანა, ერთად დავიტიროთ დაღუპული შვილები, ავაღდგინოთ, ჩატეხილი ხიდები, სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს, სხვა გზა ისტორიას ჩვენთვის არ მოუცია.

ომი სეპარატისტებმა და ექსტრემისტებმა გააჩაღეს. აფხაზ და ქართველ ხალხებს ნამდვილი ომი არ ჰქონიათ და არც შეიძლება ჰქონოდათ, ამიტომაც გვჯერა და მოთმინებით ველოდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, რუსეთის ფედერაციის, აფხაზური და ქართველი მხარეების მრავალი გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების სასიკეთო შედეგებს, სამშობლოში მშვიდობიან დაბრუნებას.

ლტოლვილთა უკანასკნელი იმედი იყო რუსეთის ფედერაციის ძალებით სამშვიდობო ოპერაციის დაწყება. მადლობა რუსეთს, რომლის სამშვიდობო ძალებმაც, როგორც გენერალ-პოლკოვნიკმა გიორგი კონდრატიევმა განაცხადა, ყველაფერი გააკეთა დევნილთა და ადგილნაცვალ პირთა გალის რაიონში უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, დრო გადის, საქმეები წინ არ მიდის, დაბრუნების დაწყება ჭიანურდება.

ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილები, განსახლებული ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში, ვაწყობთ რა მშვიდობიან მსვლელობას ენგურის ნაპირებისაკენ, კატეგორიულად მოვითხოვთ დაჩქარდეს მშობლიურ კერებში ჩვენი დაბრუნება. დაუყოვნებლივ დაიწყოს გალის რაიონში გადასვლა, შედგეს დაბრუნების კონკრეტული გრაფიკი, დადგინდეს ვადები. სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს, სხვა გზა სიკვდილის ტოლფასია, ამიტომაც, თუ 20 ივლისამდე არ იქნება მიღებული გადამწყვეტი ზომები, მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმებს, მივიღებთ უპრეცედენტო გადაწყვეტილებას — ათეულ-ათასობით დევნილი მივადგებით ენგურის ხიდს. გადავალთ, ან დავიხოცებით მამულის მიჯნაზე, მამა-პაპათა საფლავებისა და საკუთარი სახლ-კარის გადასახედზე.

ტრაგიკული შედეგების პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ ძალებს, რომლებიც გააჭიანურებენ ჩვენს დაბრუნებას, თაობები შეაჩვენებენ იმათაც, ვისაც ხალხის გადარჩენა შეეძლო და ეს არ გააკეთა.

**სოფელი რუხი, 1994 წლის ივლისი.**

**იერიშზე გადმოსულთა შორის სნაიპერმა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მაღალ-მაღალი ფიგურა შეარჩია. ოპტიკური სამიზნის ჯვარი შეჩერდა მომუშავე კამერის ობიექტივზე. ღრუბლივით ისრუტავდა ფირი ბრძოლას ხიდის ზღვარზე, და მხოლოდ ერთი დეტალი გამორჩა მას. გადაღება შეწყვიტა ერთმა გასროლამ, რომელიც ჭურვების გრიალში არავის გაუგონია. შემდგომ მოხერხდა იმის დადგენა, რომ რეპორტიორი გაცილებით უფრო ადრე დაღუპულიყო, ვიდრე ტყვია კამერას გახვრეტდა და თვალის ბუდეს გაგლეჯდა.**



**ამ დღეებში ცნობილ ჟურნალისტსა და დიპლომატს თეიმურაზ სტეპანოვს (მამალაძეს) 60 წელი შეუსრულდა.**

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის რედაქცია, რომლის დირექტორადაც იგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივი, საქართველოს ჟურნალისტთა მთელი კორპუსი გულთბილად ულოცავენ მეგობარსა და კოლეგას იუბილეს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და სიხარულს. უკვე მრავალი წელიწადია მისი ბასრი კალამი ალალმართლად ემსახურება ქართველ ხალხს. ვუსურვებთ ახალ შემოქმედებითს აღმაფრენასა და ახალ წარმატებებს.

მკითხველებს ვთავაზობთ მის სტატიას — „რეპორტიორის სიკვდილი“, რომელიც გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა.

# რეპორტიორის სიკვდილი

### ჟურნალისტები უსაზღვრებოდ

**„ვაშინგტონ პოსტის“** კორესპონდენტი ლი ჰოკშტაიდერი სოხუმში ბოლო იერიშის წინ შევიდა. ორ დღეს იგი მოწინავე ხაზზე მუშაობდა, შემდეგ, როცა ბრძოლებმა ქალაქის ცენტრში გადაინაცვლა, ტურბაზასთან ბორცვზე ავიდა და იქ გადაიტანა თავისი რეპორტაჟი პორტატიულ დისპლეიზე. ინფორმაცია „მოვლენების ცხელი ხელიდან“ რომ მიიღო (ლის გამოთქმაა), უცებ მიხვდა, რომ მას ვერსაიდან გადასცემდა: ყველა კომუნიკაცია მწყობრიდან იყო გამოსული. რჩებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისია, სადაც თანამგზავრის კავშირის დანადგარი მუშაობდა. მაგრამ ამაზე კორესპონდენტს უარი უთხრეს: მისიის ცისფერი ალამი ავალდებს ნეიტრალიტეტის დაცვას. და მაშინ ჰოკშტაიდერმა ქალაქის დამცველებს მიმართა. ისინი უკან დასახევად ემზადებოდნენ, უკანასკნელ რადიოსადგურს შლიდნენ, მაგრამ ლის თხოვნაზე უარი ვერ უთხრეს. ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების უფროსმა ვახტანგ მ-მ ეთერი „მოსინჯა“. 7 მეგა ჰერცის დიაპაზონში შვეციის მოყვარულის რადიოსადგური გამოეხმაურა. „ეს სოხუმია, ფრონტის წინა ხაზი. რეპორტაჟი მაქვს „ვაშინგტონ პოსტისათვის“. გთხოვთ მიიღოთ და გადასცეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში“. „გვიკარნახეთ“.

დაახლოებით იმავე საათზე სოხუმში აფხაზ — ჩრდილოეთკავკასიელ ფორმირებათა მსროლელი ბატალიონის მებრძოლებთან ერთად შედიოდა მოსკოველი ჟურნალისტი. მას სამხედრო ფორმა ეცვა. იყო ბატალიონის ზურგის უზრუნველყოფის უფროსი. მაქვს საკმაო მიზეზი, რათა ჯერჯერობით არ დავასახელო მისი გვარი და სახელი, მაგრამ ვიცი, რომ ზურგის უზრუნველყოფასთან ერთად იგი თავის სააგენტოსაც უზრუნველყოფდა ომის მოთუხთუხე ქვაბიდან მოპოვებული ინფორმაციით.

იმ წლის ხუთი თვის მანძილზე ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში სომხეთის მხრიდან ჩასული იყო 36 ქვეყნის 260 ჟურნალისტი. დაახლოებით ამდენივე, როგორც ვარაუდობენ, ჩავიდა აზერბაიჯანის მხრიდანაც. ასობით ჟურნალისტი კვეთს ფრონტების ხაზს, შედის დიდი რისკის ზონაში, რათა ხორცი შეასხას უფლებას, რომ „მოძებნოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებებითა და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი).

იქნებ, ლი ჰოკშტაიდერი თავისი რეპორტაჟისათვის პულიტცერის პრემიის ღირსიც იყოს, მაგრამ მისთვის, ისევე როგორც ბევრი კოლეგისათვის, ყოველგვარი სიძნელის დაძლევა მოვლენების ობიექტური გაშუქების ინტერესების მიზნით — ნორმაა. ანომალია იწყება იქ, სადაც ჟურნალისტი არღვევს დასაშვებ საზღვრებს. „ინფორმაციის თავისუფლება ყველა თავისუფლების კრიტერიუმია, უდავოდ, მოითხოვს... სურვილსა და უნარს ბოროტად არ გამოიყენონ ისინი“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 59-ე რეზოლუცია, 1946 წ).

დღევანდელობის შეიარაღებულ კონფლიქტებში „რეპორტიორის სიკვდილის“ კლასიკურმა სიუჟეტმა იპოვა ათობით სხვადასხვა ეროვნების გმირი —ან მსხვერპლი. ხელობის კანონებით გაერთიანებული, ფრონტების ხაზებით გაყოფილნი, რისთვის მიდიოდნენ ისინი ომში, მისი გმირები თუ მსხვერპლი უნდა გამხდარიყვნენ? კარგად უნდა ვიფიქროთ, სანამ ვუპასუხებდეთ: „ვალის მოსახდელად“, ყველა ომში იხოცებიან „ჟურნალისტები“, მაგრამ ბევრი ფაქტიც ვიცი, რომლებიც მხოლოდ ერთ რამეს მოწმობენ: ხოცავენ ჟურნალისტები. ისინი მკვლელობებს სჩადიან მასშტაბით, რომელიც მიუწვდომელია მასობრივი მოსპობის ნებისმიერი საშუალებისათვის, და ეს მკვლელობები — შეკვეთილია.

### გამოსახულების დიქტატურა

**57 წლის** ლევან სორდია გულის მწვავე შეტევის შედეგად გარდაიცვალა. შეტევა მას დამართა საინფორმაციო-სატელევიზიო სააგენტო „ოსტანკინოს“ გადაცემამ აფხაზეთის შესახებ. თბილისის „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა დააფიქსირეს „სატელევიზიო ინფარქტების“ მაღალი პროცენტი იმ პირთა შორის, რომლებმაც 1993 წლის სექტემბერში გადაიტანეს სვანეთის უღელტეხილებზე სწრაფი გადასვლა. ტანჯვა-ვაების ფიალაში ტელესურათი მათთვის უკანასკნელი წვეთი იყო. გოლგოთის გზაზე გაჭირვებაგადატანილი ადამიანები ვეღარ უძლებენ წართმეული სამშობლოს გამოსახულებებს. მთელი შარშანდელი წლის მანძილზე სახელმწიფო ტელევიზიის ახალი ამბების პროგრამებში ამ კონფლიქტის თემაზე სიუჟეტები საქართველოს რუკის თანხლებით იყო ნაჩვენები, რომელზეც აფხაზეთი სხვა ფერად შეღებათ. ახლახან კომპიუტერული კარტოგრაფიების ეს პოლიტიკურ-გეოგრაფიული სიახლე აიტაცა „ნტვ“-მ: მთელ ეკრანზე აციმციმდა სეპარატისტთა ცისფერი ოცნება — აფხაზეთი საქართველოსაგან ცალკე გამოყოფილი. ამავე დროს კომენტატორი ქირქილით ლაპარაკობდა ორი ქვეყნის ჭირვეულ მეზობლობაზე.

მოსკოვის დემოკრატიული ორიენტაციის გაზეთი 1993 წელს აქვეყნებს საქართველოს დაყოფის რუკას, რომელიც თითქოს გადაემღერებინოთ გენერალ პავლე სიტინის სტრატეგიული გეგმებიდან. იგი ხომ 1921 წლის 22 აპრილის საიდუმლო მოხსენებაში ცენტრს ურჩევდა „რიგ ავტონომიურ ერთეულებად საქართველოს რესპუბლიკის დაქუცმაცების გზას...“ სპეციალურად აღნიშნავდა ხაზგასმით: „ამ იდეის განსახორციელებლად არის მზა ორგანიზაცია“. (ციაგი, ფონდი 1874, აღ. 1, ს 4, გვ. 1-7).

იდეა, როგორც მოგეხსენებათ, განხორციელდა, „მზა ორგანიზაცია“ კი ახლაც მოქმედებს, ხშირად, როგორც წარმოგვიდგენია, პრესის გამოყენებით.

არცთუ უწყინარი ისეთი ტიპის სისულელეები, როგორიც არის „სახელმწიფო საბჭოს ჯარები შეიჭრნენ აფხაზეთში“, „აფხაზეთის რესპუბლიკის ოკუპაცია საქართველოს მიერ“, „აფხაზები სამშობლოსათვის იბრძვიან, ქართველები — ტერიტორიული მთლიანობისათვის“, ცინიკური პასაჟები

(დასასრული მე-3 გვ.).

## მერვე სვეტი

### მშვიდობა მაინც არის

რუსეთის სამშვიდობო ძალებმა რამდენიმე დღის წინათ განახორციელეს განაღმვითი ოპერაციები დაბა ანაკლიაში. ამოღებულია 150 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 28 უმართვო ჭურვი და სხვა იარაღი.

ლტოლვილთა დაბრუნების თაობაზე სოჭის ოთხმხრივ მოლაპარაკებებზე აფხაზური მხარე აყენებს წინადადებას, ლტოლვილთა დაბრუნების დროს რაიონულ და სასოფლო ადმინისტრაციებთან შეიქმნას სპეციალური საპოლიციო პოსტები.

რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა აპირებს ოფიციალურად მიმართოს განცხადებით ორივე დაპირისპირებულ მხარეს (როგორც საქართველოს, ასევე აფხაზეთის ხელმძღვანელობას) იმის შესახებ, რომ ლტოლვილთა პრობლემის გადაუწყვეტელობა ქმნის რეგიონში მორიგი დესტაბილიზაციის საშიშროებას.

### წარმოიშვა უთანხმოება

სანდო წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, როგორც კი დღის წესრიგში დადგა სამშვიდობო ძალების მიერ კოდორის ხეობის გაკონტროლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა აფხაზ ბოევიკებსა და რუს დაქირავებულ მეომრებს შორის. 14 ივლისს კონფლიქტის შედეგად აფხაზმა ბოევიკებმა დაცხრილეს ეგრეთ წოდებული ურჩი რუსი დაქირავებული ჯარისკაცები.

**აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი.**

### ხელფასები გაუნახევრდათ

სამშვიდობო ძალების რუსეთის საჯარისო ნაწილებში გავრცელებულმა ინფორმაციამ ხელფასის განახევრების თაობაზე ოფიცერთა და ჯარისკაცთა უკმაყოფილება გამოიწვია. თუ შეთანხმების თანახმად მაღალი ჩინის ოფიცერს უნდა მიეღო მილიონ ორასი ათასი რუბლი, მისი ხელფასი 600 ათასი რუბლით განისაზღვრა. შეთანხმების საფუძველზე რიგითი ჯარისკაცის 600 ათასი რუბლი კი 150 ათასით შეიცვალა.

### დანაშაული ციფრებით

სააგენტო „იბერიას“ ცნობით საქართველოში გასული დღე-ღამის განმავლობაში რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 19 დანაშაული, აქედან გაიხსნა 12, მოხდა 8 ქურდობა, 1 ძარცვა-ყაჩაღობა, 1 ავტოავარია, გამოვლინდა ნარკომანიის 2 შემთხვევა.

### მშვიდი მიკროფონი

●

### ციკლიდან — „პარლამენტი არდადეგებზე წავიდა“.



მხატვარი გენიკ ზუგაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

## „ნავთობმომპოვებელი ობიექტების დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესრულების ღონისძიებათა თაობაზე

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება დეპარტამენტ „საქნავთობის" ობიექტების დაცვა, რაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დავალებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის სამსახურს.

ნავთობმომპოვებელ რეგიონებში კვლავ გრძელდება ნავთობის დატაცება საექსპლუატაციო ჭაბურღილებიდან, ჯგუფური შემკრები დანადგარებიდან, მილსადენებიდან, შემაერთებელი ქსელებიდან და სხვა საიოიექტოებიდან.

ფართო მასშტაბით მიმდინარეობს უნებართვო, პრიმიტიულ დონეზე დამონტაჟებული, კუსტარული ნავთობგადამამუშავებელი დანადგარების ექსპლუატაცია, რომლებზეც წარმოებს დატაცებული ქართული ნავთობის გადამუშავება ყოველგვარი ტექნოლოგიის, ეკოლოგიური და უსაფრთხოების წესების ნორმებისა და მოთხოვნების დაუცველად.

ყოველივე ეს იწვევს ატმოსფეროს ჰაერის, მდინარეების, წყალსაცავების, გრუნტის წყლების გაჭუჭყიანებას და მოწამვლას. გამოუსადეგარი და უნაყოფო ხდება მიწები, იღუპება მცენარეები და ცხოველები. სახელმწიფო განიცდის დიდ ფინანსურ და ეკონომიკურ ზარალს.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით უცხოელი ინვესტორები, ფირმები და სპეციალისტები თავს იკავებენ ამ დარგის საწარმოებში მუშაობის დაწყებისაგან.

მიუხედავად არაერთგზის დავალებისა, რესპუბლიკის ნავთობმომპოვებელი რაიონების გამგეობები და სამართალდამცველი ორგანოები არ იღებენ ქმედით ზომებს ნავთობის მრეწველობაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს (შ. კვირაია, გ. ლანჩავა):

— ნავთობმომპოვებელი რაიონების გამგებლებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და დეპარტამენტ „საქნავთობის" ხელმძღვანელობასთან ერთად სამი დღის ვადაში შეიმუშაოს ნავთობმომპოვებელი საწარმოების, საძიებო და საექსპლუატაციო ჭაბურღილების, ჯგუფური დანადგარებისა და სხვა ნაგებობათა დაცვის დეტალური გეგმა და უზრუნველყოს მისი შესრულება, ასევე დააწესოს პირადი კონტროლი და მიაწოდოს სისტემატური ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სამთავრობო კომისიას ამ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;

ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს რესპუბლიკის ყველა რაიონში უნებართვო, კუსტარული დანადგარების (ნავთობსახდელების) და ნავთობის დასატაცებლად გამოყენებული ავტო-ცისტერნების ამოღების ოპერაციები;

უმოკლეს ვადაში ჩაატაროს ფართომასშტაბიანი ოპერაციები ნავთობმომპოვებელ რაიონში, კრიმინოგენური ელემენტების, ნავთობის დამტაცებლებისა და სხვა შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფებების ასალაგმავად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ივნისის კანონი ითვალისწინებს მკაცრ სასჯელს ნავთობის ნედლეულის, ნავთობსადენების, ნავთობპროდუქტების ან ნავთობგადასამუშავებელი ობიექტების განზრახ განადგურება-დაზიანებისათვის, ნავთობის ნედლეულის ან ნავთობპროდუქტების უნებართვო რეწვისათვის და ნავთობმომპოვებელი ობიექტების მუშაკთა იძულებისათვის.

3. დაეკისროთ პერსონალური პასუხისმგებლობა ნავთობმომპოვებელი რაიონების გამგებლებს ამ დადგენილების შესრულებისათვის, ხოლო სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ ზემოაღნიშნული კანონის გამოყენება.

4. ნავთობმომპოვებელ რაიონებში ნავთობის მრეწველობის განვითარებისა და დაცვის, ადგილობრივი ორგანოების დაინტერესების, მათი სტიმულირების მიზნით, მოპოვებული ნავთობის გადამუშავებით მიღებული ნავთობპროდუქტების მოცულობაში რაიონის წილი განისაზღვროს 10 პროცენტის ოდენობით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამსახურის ადმინისტრაციის სტიმულირების მიზნით მისი წილი მოპოვებული ნავთობის გადამუშავებით მიღებული ნავთობპროდუქტების მოცულობაში განისაზღვროს 5 პროცენტის ოდენობით.

5. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ჯ. ბაბილაშვილს, იუსტიციის მინისტრს თ. ნინიძეს უზრუნველყონ რესპუბლიკის პრესისა და რადიო-ტელევიზიის საშუალებით მოსახლეობის ინფორმირება ზემოაღნიშნული კანონის შესახებ.

6. ამ დადგენილების შეუსრულებლობისა და 10 დღის ვადაში დეპარტამენტ „საქნავთობის" საწარმოებში წესრიგის დაუმყარებლობის შემთხვევაში რაიონების გამგებლები, პოლიციის უფროსები, დარგის შესაბამისი სამეურნეო ხელმძღვანელები, განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
**ოთარ ფაცაცია.**

---

## ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

### ხელი გაანძრიე და გიშველიო...

**ამერიკის** შეერთებული შტატებიდან საქართველოში ხორბლის შემოტანა ჰუმანური დახმარების სახით გრძელდება, აღნიშნეს რესპუბლიკური სასურსათო კომისიის სხდომის მონაწილეებმა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. [illegible] გარკვეული რაოდენობის მარცვლეული, ფქვილი შემოვა რესპუბლიკაში ევროკრედიტის რეალიზაციის, ყაზახეთიდან დათქმული შეკვეთის ხარჯზე.

მაგრამ, ითქვა სხდომაზე, ყოველივე ეს პასუხისმგებლობას როდი ხსნის შესაბამის უწყებებსა და სამინისტროებს მიმდინარე წლის მოსავლის ხორბლის დამზადების შინარესპუბლიკური რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის. არადა, საჭირო სამუშაოთა გაჭიანურებამ, დიზელის საწვავის უქმარისობამ შეიძლება დასახულ კამპანიას ჩაფუშვის საფრთხე შეუქმნას. კომისიამ განიხილა რესპუბლიკაში სათესლე ფონდის შექმნის შესაძლებლობანიც.

---

### თუ მთავრობის დადგენილებები გაინტერესებთ

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ივნისის თვეში მიიღო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების უზრუნველმყოფი მთელი რიგი დადგენილებები, კერძოდ: რკინიგზის სატვირთო გადაზიდვის ტარიფების; ორგანიზაცია-დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძღოლის; მშენებარე საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის; ერთიანი [illegible] სახელმწიფო ფონდისათვის კომერციული ბანკებიდან ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების მიყიდვის; სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის; შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო დეპარტამენტის; დისერტაციების ფონდის ფორმირებისა და გამოყენების შესახებ.

მინისტრთა კაბინეტის ივნისის თვის სხდომებზე განხილული იქნა აგრეთვე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

ვინც დაინტერესებული ხართ, ვისაც გსურთ გაეცნოთ ზემოთ აღნიშნულ და სხვა სამთავრობო ნორმატიულ დოკუმენტებს, მიაკითხეთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკას ილია ჭავჭავაძის გამზ. № 24. ტელეფონი: 22-37-05.

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრეს-ცენტრი.**

ორგანიზაცია ყიდის ბრტყელი გადახურვისათვის წყალგაუმტარ რეზინის რბილ საფენს.
1 ცალის ზომებია 8X1, 35 მ. დაგება ხდება ერთ ფენად, გუდრონით. გარანტია 20 წელიწადი.
ფასი შეთანხმებით.
ცნობებისათვის ტელეფონი 61-89-00. 9 დან 17 საათამდე

---

## ჩაი-94

# დავაჩქაროთ!

### გამგეობის საგანგებო სხდომაზე

**უკვე** განვლილ [illegible] ნუკითხაობის პერიოდში, როგორც სხვაგან, ასევე ზუგდიდის რაიონშიც შენელდა ყურადღება ჩაის კულტურისადმი. დიდი რაოდენობით გაჩანაგდა და გაველურდა ჩაის პლანტაციები, მაგრამ წლეულს, როცა ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა, ზუგდიდელმა მეჩაიეებმაც თავიანთი მარჩენალი კულტურისაკენ იბრუნეს პირი. სოფლის მეურნეობაში შექმნილი სიძნელეების მიუხედავად, ოპტიმალურ ვადებში შეასრულეს საზამთრო-საგაზაფხულო აგროტექნიკური ღონისძიებები. ისინი რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველები შეუდგნენ ჩაის ნედლეულის დამზადებას არსებული საწარმოო და შრომითი რესურსების მაქსიმალურად ამოქმედების გზით. ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში შედარებით კარგ შედეგებს მიაღწიეს და საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი აქვს რაიონის 21 საზოგადოებრივ მეურნეობას. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კოოპერატიულ-კომერციული აგროსამრეწველო ფირმა „ჭკადუაში" (თავმჯდომარე — იაზო მახია).

1 ივლისის მდგომარეობით, რაი[illegible]ბელ მრეწველობას ჩაბარდა 7500 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური პროგნოზის 18,5 პროცენტია. მართალია, ეს მაჩვენებელი რესპუბლიკურზე მაღალია, მაგრამ მაინც არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას. ზუგდიდის რაიონის შემოსავლის ძირითადი წყარო ხომ ჩაის კულტურაა. ამიტომ არის, რომ [illegible] აურმა მეჩაიეებმა 4200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადება იკისრეს. ოღონდ ამას ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა ერთნაირი სულისკვეთებით როდი გამოეხმაურა. ადგილობრივი მმარ[illegible]ურის, [illegible], აბასთუმნის [illegible] ჩაის მეურნეობები. უნდა ითქვას, რომ ჩამორჩენა ძირითადად განაპირობა აღნიშნული მეურნეობების ხელმძღვანელთა უსუსურმა მუშაობამ, სპეციალისტებისა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა [illegible] მესუსტებამ. [illegible] კოლმეურნეობის [illegible] მუშაობა. [illegible] ვერა და ვერ დაარაზმეს [illegible] შრომითი [illegible] შრომითი ორგანიზაცია [illegible] მუშაკის [illegible] თველობის გამგეობამ ღონიზე შემოკრა განგაშის ზარი. თავის საგანგებო სხდომაზე მთელი პრინციპულობით განიხილა საკითხი ჩაის ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების მიმდინარეობისა და მდგომარეობის [illegible] შესახებ მიიღო [illegible], რომელშიც ნათქვამია:

რაიონში ჩაის ნედლეულის დამზადების ტემპი დაბალია. დამზადების მცირე მაჩვენებელი აქვს 18 საზოგადოებრივ მეურნეობას. მათ შორის განსაკუთრებით ჩამორჩება [illegible], ოქტომბრის, ჩხორიის, რიყის, ახალკახათის, ინგირის, ოდიშის, ჭაქვინჯის, გრიგოლიშის, კოკის, ცაიშის, კორცხელის გან[illegible]ცა თვიური დავალება მხოლოდ 5.5 პროცენტით არის შესრულებული. [illegible] მდგომარეობა [illegible]ბის საზოგადოებრივ მეურნეობაში, სადაც ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია ჩაის კრეფის დაგვიანებით დაწყება. სათანადო ყურადღება არ ექცევა კომპლექსურ მექანიზაციას (45 ჰექტარიდან ჩაის საკრეფი მანქანებით მოკრეფილია მხოლოდ 15 ტონა ჩაის ფოთოლი). კოლმეურნეობის 138 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან პირველი ვეგეტაციის [illegible] მოკრეფილია მხოლოდ 60 ჰექტარზე. სხვადასხვა სტრუქტურული მიზეზების გამო ჩაის ნედლეულის დამზადება დაგვიანებით დაიწყეს ჩხორიის, ახალი კახათის, ოდიშის კოლმეურნეობებში. შეუწყნარებელია ისეთი კარგი პოტენციური შესაძლებლობის მეურნეობის ჩამორჩენა, როგორიც არის რუხის კოლმეურნეობა. სამწუხაროდ, აქაც დაგვიანებით დაიწყო ჩაის მექანიზებული კრეფა და საშუალოდ დღიურმა კრეფამ ექვსი ტონა შეადგინა. შეიძლება ითქვას, რომ სანახევროდაც არ არის გამოყენებული საწარმოო და შრომითი რესურსები ოდიშისა და ჭაქვინჯის კოლმეურნეობებში. რის შედეგად დაბალია ჩაის კრეფის ტემპი. ყველაფერი ეს ითქვა ზუგდიდის რაიონის გამგეობის საგანგებო სხდომაზე.

ჩაის ნედლეულის დამზადების გაძლიერებისა და ამ დარგში არსებული ჩამორჩენის უსწრაფესად დაძლევის მიზნით საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს დაევალათ, რადიკალურად გააუმჯობესონ მუშაობა. მიაღწიონ მეჩაიეთა მატერიალური დაინტერესებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

სამუშაოდან გათავისუფლდნენ ერთის, ცაიშის, ჭაქვინჯის, ოდიშის, ნაცატუს კოლმეურნეობების თავმჯდომარეები.

კარგია, რომ ზუგდიდის გამგეობამ ასე დროულად განიხილა ჩაის კრეფის მიმდინარეობის შესახებ საკითხი და მიიღო საქმიანი კონკრეტული ზომები, მაგრამ ისიც არ არის დასამალი, რომ ჩამორჩენის ობიექტური მიზეზებიც არსებობს. მათ შორის უმთავრესია ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების შეუტანლობა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ჩაის ფოთლის ვეგეტაცია.

**ოდიკ ქუხილავა,**
„სრ" საკ. კორ.

---

# შემთხვევითობა თუ კანონზომიერება

### ვინ არიან ახალი პრეზიდენტები ლეონიდ კუჩმა და ალექსანდრე ლუკაშენკო?

**„პოსტკომუნისტური პერიოდის" უკრაინასა და ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნებში ერთი შეხედვით სენსაციური მოვლენა მოხდა. პრეზიდენტებად აირჩიეს უკრაინაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მეწარმეთა და მრეწველთა წრეების წარმომადგენელი, ყოფილი ექს-პრემიერი ლეონიდ კუჩმა, ხოლო ბელარუსში, რაც მართლაც უდიდესი უმრავლესობისათვის სენსაციური იყო, ბევრისათვის უცნობი, ახალგაზრდა დეპუტატი, რომელსაც აგვისტოში 40 წელიწადი უსრულდება, კორუფციასთან ბრძოლის პარლამენტის კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ლუკაშენკო.** მან კამანდადგურებელი გამარჯვება მოიპოვა თავის ყველა მეტოქეზე და რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ახლანდელ პრემიერ-მინისტრ ვიაჩესლავ კებიჩზე, რომელსაც უდავო გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. მით უმეტეს, რომ კებიჩი ინიციატორია ბელარუს-რუსეთის ერთიანი ფინანსურ-საკრედიტო სისტემის ხელშეკრულებისა, რომელსაც არჩევნების წინ ხელი მოაწერეს მან და რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვიქტორ ჩერნომირდინმა.

**თუ „პოსტკომუნისტურ პერიოდში" მოვლენათა განვითარებას უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, აღნიშნული არჩევანი არც შემთხვევითია და არც სენსაციური.** მჭიდროდ შეკავშირებული, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ინტეგრირებული, ერთიანი იდეოლოგიით განმტკიცებული ყოფილი საბჭოთა იმპერიის მოულოდნელმა, სენსაციურმა დანგრევამ („ბელოვეჟის შეთანხმებები") უკლებლივ ყველა მისი შემადგენელი ნაწილი უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ და ურთულეს პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩააყენა. დამოუკიდებლობის მიღების ეიფორიულ ტალღაზე ამოტივტივებულმა ჭეშმარიტად დემოკრატიულად განწყობილმა, აგრეთვე ფსევდოდემოკრატიული და უკიდურესად ნაციონალისტურმა ძალებმა, მათ შორის ყოფილი ნომენკლატურული ელიტის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს პოლიტიკური და ეკონომიკური სადავეები, უკლებლივ ყველა ახალი სახელმწიფო შეეცადა „სუფთა" ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას და იმპერიული დიქტატისაგან არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ გამოთავისუფლებას. დაიწყო საბაჟო და პოლიტიკური საზღვრების აგება, ეროვნული ვალუტის შემოღება და, რაც მთავარია, საბაზრო ეკონომიკის შოკური „დემოკრატიული დირექტივებით" დანერგვის პროცესი. ძველი სტრუქტურების ნგრევა, კანონების უგულებელყოფა და მართვის სისტემებში გამოუცდელი, შემთხვევითი ადამიანების მოსვლა. ამან ქაოსური ვითარება შექმნა. დაიწყო ეკონომიკის სწრაფი დაქვეითება (განადგურებაც კი), უზარმაზარი ინფლაცია (მცირე გამონაკლისის გარდა). მოსახლეობა სოციალური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ყოველივე ამას უკიდურესი ნაციონალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აფეთქებაც დაემატა, რაც ეთნოკონფლიქტებში გადაიზარდა, რომელიც მსოფლიოს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

#### მოვლენათა კვალდაკვალ

ქაოსურ ვითარებაში, როცა თვით რუსეთშიც მკვეთრი ეკონომიკური დაქვეითების [illegible] პროცესი განვითარდა, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში შექმნილ მდგომარეობას, რბილად რომ ვთქვათ, სტაბილურად ვერ მივიჩნევთ. ყოველივე ამან ასპარეზი გაუხსნა კრიმინალური, დანაშაულებრივი, მაფიოზური კლანების მოქმედების არეალის უკიდეგანო გაფართოებას, მისი გავლენის ზრდას, სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ, საზოგადოებრივ სტრუქტურებში შეჭრას. ამან რუსეთში ბირთვული პოტენციალის მაფიური ძალების ხელში ჩავარდნის რეალური საფრთხეც კი შექმნა, რაც მსოფლიო მშვიდობას უდიდეს საშიშროებას უქმნის. **მარტო შარშან რუსეთიდან, „გაკეთილშობილების" მიზნით, დასავლეთში 10 მილიარდი დოლარი კრიმინალური კაპიტალი შეიჭრა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი აცხადებს, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა არ დავუშვათ რუსეთიდან დასავლეთში „არასტაბილურობის ექსპორტი".** არც ის არის შემთხვევითი, რომ პირველად სწორედ ამ ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ორგანიზებულ დამნაშავეობასა და ტერორიზმთან ბრძოლის წარმომადგენლობა შეიქმნა მოსკოვში და მისი შეფი ლუის ფრი მის გახსნაზე საგანგებოდ ჩამოვიდა. **დასავლეთში ზოგი იმასაც შიშობს, შესაძლოა რუსეთი მსოფლიოში პირველ მაფიურ სახელმწიფოდ გადაიქცეს.** ნიშანდობლივია, ამ მიმართულებით რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებულება ბანდიტიზმთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ, რომელსაც ზოგიერთი სტალინური პერიოდის მკაცრი კანონმდებლობის აღდგენას უწოდებს. ისიც საგულისხმოა, რომ მრავალი რიგითი ადამიანი რუსეთში ამ ბრძანებულებას მიესალმება და მის უფრო გამკაცრებასაც კი მოითხოვს ქვეყანაში სრული წესრიგის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება უკრაინაში [illegible] რეზიდენტო არჩევნებში [illegible] ლეონიდ კრავჩუკის დამარცხებას, უნდა ითქვას, რომ მას მოსკოვის [illegible] უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტი ეკავა. შემდეგ პარტიის რიგებიდან გავიდა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოწოდებებით უკრაინის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. **იგი საბჭოთა კავშირის დენონსაციის ბელოვეჟის შეთანხმებების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ინიციატორია.** ამან მას განუმტკიცა მდგომარეობა განსაკუთრებით დასავლეთ უკრაინაში. **მაგრამ რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ, რუსეთთან დაპირისპირებამ შავი ზღვის ფლოტისა და ყირიმის საკითხებში, შეაშფოთა უკრაინის მოსახლეობა, რომელიც უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში, ფსიქოლოგიურ შოკშიც აღმოჩნდა.** ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის უკიდურესმა გამწვავებამ, რუსეთთან საშიში დაპირისპირების საფრთხემ კრავჩუკს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობა დააკარგა. თუმცა, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ლეონიდ კრავჩუკი ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რუსეთთან ურთიერთობა მისთვის პრიორიტეტული იყო.

**რაც შეეხება ლეონიდ კუჩმას, იგი უკრაინის მომავალს მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობაში ხედავდა და ყოველმხრივ ხაზს უსვამდა რუსეთთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ინტეგრაციული კავშირების აღდგენის აუცილებლობას.** ამან გარკვეული დივიდენდები მოუტანა. იგი პრეზიდენტად არჩევნების მხოლოდ მეორე ტურში აირჩიეს, რაც უკრაინაში მიმდინარე პროცესების სიმწვავეზე მეტყველებს.

**ბელარუსის პირველი პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსის პარლამენტის ერთადერთი დეპუტატი იყო, რომელმაც ხმა არ მისცა ბელოვეჟის შეთანხმებების რატიფიკაციას. მან როგორც საპარლამენტო კორუფციასთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარემ, პოურიდებლად დაადანაშაულა ყოფილი პრეზიდენტი სტანისლავ შუშკევიჩი, ბელოვეჟის შეთანხმებათა ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, კორუფციაში, ასევე დაადანაშაულა მან კორუფციაში მთავრობის წევრები, ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი.** მოსახლეობას შეპირდა, რომ გააჩაღებს **კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულობებთან სასტიკ ბრძოლას, თანამდებობებიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლებს ყველა ხელმძღვანელს, ვინც ბოროტად გამოიყენა თანამდებობა, შეპირდა აგრეთვე ფიქსირებულ ფასებს, მიწის კერძო საკუთრებაში გაცემის აკრძალვას, პრივატიზაციის შეჩერებას, რომელიც, მისი აზრით, ყოფილი ნომენკლატურის სასარგებლოდ ხდება.**

ამ ფონზე შემთხვევითად არ გვეჩვენება პოლონეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში მემარცხენე ძალების — ყოფილი კომუნისტური პარტიების წარმატება, ხოლო თვით რუსეთის პარლამენტში დემოკრატიული ძალების პოზიციების გარკვეული შესუსტება. მემარცხენე ძალების წარმატების საფუძველს სხვა ფაქტორებთან ერთად, ქმნის ინტეგრაციული პროცესების გარდუვალობა, რასაც ისინი ოსტატურად იყენებენ თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად.

**ირაკლი ჯაფარიძე.**

---

# ციხეს რად უნდა რკინის კარები!

**საპატიმროებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა ბოლო დროს ჩვენი საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად იქცა. ამ პრობლემით დაინტერესდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიაც, რომელსაც პატიმართა ახლობლებმა არაერთგზის მიმართეს თხოვნით, მიიღონ გარკვეული ზომები იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც მძიმე და სასტიკი დანაშაული არ ჩაუდენიათ და რომელთა ვადაზე ადრე გათავისუფლებაც საზოგადოებრიობისათვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს.**

მწირმა მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, არასრულყოფილმა საკანონმდებლო სისტემამ სასჯელის მოხდის ადგილებში პატიმართა ყოფა აუტანელი და გაუსაძლისი გახადა. რესპუბლიკის ციხეები და კოლონიები არათუ გადავსებულია პატიმრებით, არამედ გადატვირთულია. მეტად შემაშფოთებელი და დამაფიქრებელი სტატისტიკაც: მარტო თბილისის პირველ საგამოძიებო იზოლატორში, სადაც 1500 ადგილია, მოთავსებულია ორი ათასზე მეტი ადამიანი...

ახლახან გაიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეებისა და იურიდიული კომისიების ერთობლივი სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც. სხდომაზე ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ მსჯავრდადებულთა პრობლემების გადაჭრა არ ითმენს, დრო აღარ ითმენს, რადგან იმაზე მეტის ატანა, რასაც საპატიმროებში პატიმრები ითმენენ, უკვე შეუძლებელია. და თუ ახლავე არ გადაწყდა ზოგიერთი საკითხი, საზოგადოებრიობა უკვე სამუდამოდ დაკარგავს ამ ადამიანებს, ვისი ჩვენსკენ შემობრუნების იმედი ჯერ კიდევ არის.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შექმნილი უმძიმესი ვითარება მიმოიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს უფროსმა გრიგოლ შალამბერიძემ. მან აღნიშნა, რომ მინისტრთა კაბინეტს უკვე წარუდგინეს პროექტი საპყრობილეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ. მაგრამ პრინციპში ეს მომავლის საქმეა. მანამდე კი, რადგანაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს პატიმართა კანონით გათვალისწინებული ელემენტარული ცხოვრების პირობებს, უნდა მოხდეს ციხეების ნაწილობრივი განტვირთვა.

ცალკეული პატიმრების გათავისუფლება სასჯელისაგან დღევანდელ ეტაპზე, ვინაიდან საპატიმროებში დამყარებული წესრიგი, მიზანშეწონილად ჩათვალა თბილისის პირველი საგამომძიებო იზოლატორის უფროსმა ვლადიმერ ტაბაღუამაც. კერძოდ, თქვა მან, უნდა განთავისუფლდნენ ის მსჯავრდადებულნი, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს მსუბუქი დანაშაული: დაკავებული არიან იარაღის უკანონოდ ტარებისათვის, არ შექმნეს არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფები და ჩადენილი არა აქვთ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული. ვლადიმერ ტაბაღუას აზრით, უნდა გათავისუფლდნენ აგრეთვე 55 წელს მიღწეული ქალები და 60 წელს მიღწეული კაცები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები და ა. შ.

ხომ არ იქნება ეს ყბადაღებული ამნისტია, რომელიც ახლანდელ ვითარებაში მთლად გამართლებული ვერ იქნება? — ითქვა სხდომაზე. ეს რომ ასე არ მოხდეს, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ვახტანგ გვარამიას აზრით, აუცილებლად უნდა შეიქმნას სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რუსუდან ბერიძემ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შემოვიღოთ გაშვება თავდებით გარკვეული რაოდენობის საჯარიმო თანხის გადახდით, რომელიც მოხმარდება ციხეებისა და კოლონიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

სხდომაზე კატეგორიულად აღინიშნა, რომ მკვლელები, ყაჩაღები, ქურდები, ნარკოტიკული ნივთიერებების გამსაღებლები შეწყალებას არ დაექვემდებარებიან.

კომისიამ გამოიტანა დადგენილება. მასში, კერძოდ, ნათქვამია: ვინაიდან წინასწარი პატიმრობისა და სასჯელის მოხდის ადგილებში პატიმართა ცხოვრების პირობები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი, დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომისიებთან ერთად შეიმუშაონ იმ პატიმართა ხვედრის შესამსუბუქებელი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებსაც ჩადენილი აქვთ მსუბუქი დანაშაული და პირველად არიან მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მოამზადონ სამართლებრივი ბაზა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

**ნინო თათრულაძე.**

[illegible]
„[illegible]"
[illegible] ანაბრების მიღებას ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთებით:
აშშ დოლარებში, გერმანულ მარკებში და რუსულ მანეთებში
[illegible]
ქართულ კუპონებში
[illegible]
ცნობებისათვის მიმართეთ:
ტელეფონებზე:
37-60-83, 37-95-66, 38-90-92.
ანაგის ქუჩა №7 მე-5 სართული,
11-დან 15 საათამდე.

XEROX
The Document Company
ოფიციალური წარმომადგენელი
[illegible]
გთავაზობთ: ასლგადამღებ აპარატებს, ფაქსებს, ლაზერულ პრინტერებს, საბეჭდ მანქანებს, საკანცელარიო საქონელს
-უფასო დამონტაჟებასა და სწავლებას
-საგარანტიო მომსახურებას
-საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ინჟინრების მიერ მაღალი ხარისხის სასერვისო მომსახურებას
-სახარჯი მასალითა და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფას
ტელ: 98-36-31 ფაქსი: 98-96-58
98-94-78

ვისაც სურს დაეუფლოს მეანის ან მეანის (ბებია ქალის) პროფესიას
ფირმა „ბარაკონთან" არსებული
თბილისის
საშუალო-სპეციალური
სამედიცინო სასწავლებელი
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
1994-1995 სასწავლო წლისათვის

მიიღებიან სრული და არასრული საშუალო განათლებამიღებული მოსწავლეები, სწავლების ვადა შესაბამისად 2 და 3 წელიწადია.
მისაღები გამოცდები მოეწყობა ზოგად ბიოლოგიაში — სრული საშუალო სკოლადამთავრებული მოსწავლეთათვის და ანატომიაში არასრული საშუალო სკოლადამთავრებული მოსწავლეთათვის.
სასწავლებელში შემსვლელმა უნდა შემოიტანოს შემდეგი საბუთები:
1. განცხადება დირექტორის სახელზე;
2. განათლების მოწმობა (დედანი);
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 086);
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
5. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
6. პასპორტი (პირადობის მოწმობა) — წარმოადგენს პირადად.
სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული მიიღებს სრული საშუალო სამედიცინო განათლების დიპლომს და ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით შრომის, დასაქმებისა და სწავლების გაგრძელების საქმეში.
სასწავლებელში სწავლა ფასიანია.
საბუთები მიიღება ა. წ. 1-დან 28 ივლისამდე, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან — 15 სთ-მდე.
იჩქარეთ: ჩვენი სასწავლებელი ერთადერთია, სხვა სამედიცინო სასწავლებლებს შორის, სადაც მოსწავლეებს არ უხდებათ გადაადგილება ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში და სწავლება მიმდინარეობს მეანის განყოფილების მოსწავლეებისთვის მხოლოდ რკინიგზის საავადმყოფოში (დიღომში) და (სამეანო განყოფილების მოსწავლეებისთვის ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში (ფილარმონიასთან). 10-დან — 15 საათამდე.
ვიძლევით იაფი და ხარისხიანი სწავლების გარანტიას.
ჩვენი მისამართია:
თბილისი, ლუბლიანას ქ. №5. კახიანის სახ. რკინიგზის საავადმყოფო (დიღომი).
ცნობებისათვის დარეკეთ:
51-78-20, 51-76-15 დღის საათებში.
22-45-16, 22-52-52 საღამოს საათებში.

# რეპორტიორის სიკვდილი

(დასასრული)

[illegible] შეცვალოს დემოგრაფიული შემადგენლობა". მეხუთე [illegible] ფილმები, [illegible] მასალები [illegible] კითხვა: [illegible] სახელმწიფოში. [illegible] საკუთარი [illegible] პოლიტიკური და [illegible] იმპერატივია და რომელმაც [illegible] ხელმძღვანელებს [illegible] პატარა მეზობელი ქვე[illegible] ტერიტორიულ მთლიანობას [illegible]?

[illegible] რეაქცია ემოციური: [illegible] ხელს, ყმაწვილებო, [illegible] [illegible] — ეს მიზანი [illegible]". სხვა რეაქცია გამოხატა [illegible] ინტერვიუში ([illegible], წლევანდელი 14 ივნისი): „პრეზიდენტი ამბობს, ერთიანი ქართული სახელმწიფო [illegible] ... ფლიდეპზე [illegible] პასუხში".

[illegible] სტანდარტის ამ პოლიტიკოსთა [illegible] შეიძლება.

ჟურნალისტებმა ყველაფერი [illegible] კონფლიქტ[illegible]. კულტურული [illegible] „ფრანს ინტერნასიონალის" [illegible] და ხორვატიისათვის [illegible] პროგრამის წამყვანი. [illegible] პასუხისმგებლობა [illegible] შესახებ, [illegible] ჩვენს ცხოვრებაში პოლიტიკური [illegible] სხვისი ხელის [illegible] სურვილი.

„პირველი მიზეზი, რომელსაც [illegible] ომში მიჰყავს, სიმართლეა".

ჩვენ ჟურნალისტებზე 1917 წელს ამერიკელმა სენატორმა ჰირამ ჯონსონმა. სხვა ავტორიტეტმა კი სხვაგვარად თქვა: „ომში პირველი სიმართლე იღუპება". არ შეიძლება არ დაეთანხმო როგორც პირველს, ისე მეორეს. ომში რამდენიმე კოლეგა-მეგობარი დავკარგე და სულ უფრო ხშირად ვუფიქრდები, თუ რატომ არის, რომ ვერავითარი ნორმატიული მორალი, ვერავითარი პროფესიული და ეთიკური შეზღუდვები ვერ აჩერებენ მოსაკლავად აღმართულ ხელს, რომელსაც კალამი, დიქტოფონი, კამერა უკავია.

მეოთხე ხელისუფლება, ბევრის აზრით კი — პირველი. იმდენად დიდია მისი ძლიერება, ასრულებს პოლიტიკური აპარატის ნაწილის როლს, პარტიული კუთვნილების ან პრესის „დამოუკიდებლობის" დონის მიუხედავად. შინ პოლიტიკის სატელევიზიო მიწოდება [illegible] ოჯახს მის მონაწილედ აქცევს, მაგრამ მეტწილად იგი პასიურია, თუ, რა თქმა უნდა, ზოგი სულ სხვანაირად იქცევს. წარმოიდგინეთ [illegible] ეფექტი: „...რძიანი შოკოლადის კამფეტი... მობალული არაჟანი და რძიანი კარამელი". ამგვარი „ინფორმაციის" პასიური აღქმა იწვევს ნებისმიერი „ტელეინფორმაციის" მოხმარების პირობით რეფლექსს, იქნება ეს სავსებით ხასიათის ნაწარმი, შელახული რეპუტაციის ფონი თუ სიკრუე კონფლიქტის მიზეზების შესახებ.

ტელესურათი მილიონებისათვის საყვარელი ნუგბარია. აპარატის ან ფულის მფლობელი ხელისუფლება მას თავისი ინტერესებისათვის იყენებს. ბევრ რამეში იგი პატრონობს კორუფციის დიქტატურის მეშვეობით. ეს დიქტატურა მკაცრი, შეუბრალებელი, მხეცურია.

ეს ჩანაწერები გავაკეთე მოსკოვის „პრეზიდენტ-ოტელში" საერთაშორისო კონფერენციაზე „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი და პასუხისმგებლობა დემოკრატიულ პროცესსა და ტოლერანტულობის განვითარებაში", სექცია 1 მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პასუხისმგებლობა კონფლიქტურ სიტუაციებში". ვის წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა ჟურნალისტს? ჭეშმარიტების წინაშე, საკუთარი თავის წინაშე. ეთიკური, პროფესიული გაერთიანების, „პატრონ მეურნეს" ან — თავისი შემკვეთის წინაშე?

## ვინც იხდის, იგი მუდამ მართალია

გაზეთი „კუბანსკი კურიერი", რომლის თავდაპირველი ტირაჟი 16 ათასი იყო, ახლა ნახევარ მილიონამდე გაიზარდა. ხელმოწერა უფასოა. ეს სასწაული. ლონდონის გაზეთ „ოუქის" [illegible] მთავარ რედაქტორს ჰ. ზენიუკს მიაჩნია, ბატონმა ჟირინოვსკიმ მოახერხა, რომლის რეჟიმში ჩასვლამ [illegible] გააქტიურა აქციები და სადაზვერვო ოპერაციები „ეროვნულად [illegible]" შეკავშირებისათვის „უცხოელთა" წინააღმდეგ. პრობლემში დაფინანსების წყაროებს არ ასახელებენ, [illegible] კი იმდენად არის გამოფლავებული. „კუბანსკი კურიერის" [illegible] მთავარი, სრულიად ყუბანის კაზაკთა მხედრობის ატამანი, რომელიც მასობრივ რეიდებსა და ჩხრეკას აწყობს „კავკასიური ეროვნების პირთა" მიმართ. „კურიერის" ზოგიერთი ავტორი წარმომადგენელია სახელმწიფო სათათბიროში, ფედერალური და სამხარო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. გაზეთი გამოსცემს საკადრო [illegible].

[illegible] რუსეთის საინფორმაციო ბაზარზე [illegible] 64 [illegible]. [illegible] ხელისუფლება?!" — წამოიძახებენ ხოლმე ზოგიერთები, და ხელში აფრიალებენ ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის სამინისტროს ლოცვა-კურთხევით გამოსულ იდეოლოგიური შინაარსის წიგნაკებს. ალბათ უფრო პროდუქტიული იქნებოდა, თუ დაიწყებდნენ საკითხის გარკვევას, ვისი ფულით გამოდის ისინი.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის განსაზღვრებით, ინფორმაცია, რომელიც საქონელი არ არის, ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცა. ის, რომ ზოგიერთი პარტიის ლიდერები ათასიდან ხუთი ათას ამერიკულ დოლარამდე მოითხოვენ ერთსაათიანი ინტერვიუსთვის, — დიდი უბედურება არ არის: ყველას უფლება აქვს იფიქროს თავისი სკანდალური გამორჩეულობით. ცუდია, როცა ამას, თუნდაც ნაკლებ საფასურად, სჩადიან ჩუმი სახელმწიფო მოხელენი. კიდევ უფრო ცუდია ჟურნალისტების, ტელეარხების, გაზეთის გვერდების, მთელი გამოცემების ყიდვა ცალობით თუ ბითუმად. კომერციული უშიშროების სააგენტოს გენერალური დირექტორის ა. კისელიოვის გახმაურებულ ისტორიას, რომელმაც, როგორც მან თქვა, სასარგებლო იდეათა პროპაგანდისათვის იყიდა ადგილობრივი პრესის ორი ასეული ჟურნალისტი (გაზეთი „სეგოდნია", 1994 წლის 19 მაისი), მრავალი ჩრდილოვანი ანალოგი აქვს. საყოველთაოდ არის ცნობილი ტელეკომუნიკაციების (თბილისი — 1992 წლის 24 ივნისი, მოსკოვი — 1993 წლის 3-4 ოქტომბერი) იარაღით ხელში ჩაგდების ცდები შეიცვალა [illegible] კაროიგებებში, რომლებშიც თურმე გარეული ყოფილან თვალსაჩინო სახელმწიფო მოხელენი. რაკი პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მონოპოლიას აღარ წარმოადგენენ, [illegible] მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხელთ იგდონ ახალმა „დერჟავულმა" მონოპოლისტებმა. თითოეული ამომავალი ვარსკვლავი, პოლიტიკოსი იქნება თუ ბიზნესმენი, უწინარეს ყოვლისა იქმნის ორ სამსახურს — დაცვას და პრესას. ყოველი პატარ-პატარა სამთავრო ან საუწყებო უფლისწული, ყოველი შეიარაღებული ჯგუფი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში [illegible] „ბეტაკამებითა" და „კამერამანებით", რომლებიც მზად არიან იმუშაონ ეგზოტიკური [illegible] კერძისათვის, [illegible] სადილისათვის ყოფილ სამთავრობო სახელმწიფო აგარაკზე, პატრონის მიერ გამომუშავებული დოლარების ნარჩენებისათვის. სატელევიზიო შინაყმებს მოსკოვში აგროვებენ — ისე უფრო მოხერხებულად დახატავენ პერიფერიული ფიგურის იმიჯს დედაქალაქის ელექტრონული პრესის ეკრანებზე.

ახლა „იმიჯმეიკერობით" მარტო ერთი სარეკლამო სააგენტო როდი საქმიანობს. ფული იყოს, თორემ ვისაც გნებავთ „გაალმერთებენ": არაპოპულარულ ლიდერსა თუ „არასიმპათიურ" ეთნიკურ ჯგუფს. ამ კანტორების ხარჯით ცხოვრობენ მთელი „საჯინიბოები" ფრიად ჯიშიანი პრესის [illegible].

უწყებრივი, ჯგუფური, პირადი ინტერესების გამტარებლები გიგანტური ლობის ფარებად ერთიანდებიან, რომლის მრავალთაგან ერთ-ერთი ფუნქციაა საზოგადოებრივი ყურადღება ჩამოაცილონ მოვლენებისა და ამბების არსს.

ამას უშუალო დამოკიდებულება აქვს კონფლიქტურ სიტუაციებთან. იმის ნაცვლად, რომ გარკვევით აუხსნან მკითხველს (მაყურებელს, მსმენელს), რატომ დაიწყო შუღლი, ვინ აღვივებს, ვინ იყენებს მას და ვის რა სურს, [illegible] არარსებული [illegible] მშვიდობის მხარდამჭერის ოპერაციათა განხორციელების სქემებს. კონფლიქტთა მიზეზები ღრმად არის ჩამარხული, საზოგადოებრივი აზრი დეზორიენტირებულია, პირს [illegible] მითებით, რაც დიდ თავისუფლებას აძლევს ხელს, კონფლიქტისაგან ბლომად მოგებას რომ იღებს.

## ავტორი! ავტორი!

სადღეისოდ რუსეთში მოქმედებს 400 დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო. ინფორმაციის ზვავმა წალეკა გაუთვითცნობიერებელი ობივატელი (მ. ჩლენოვი). მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სულ უფრო მზარდ კრიმინოგენულ ზემოქმედებას ახდენენ მასობრივ შეგნებაზე (ვ. ემინოვი). მაგრამ აი, რა არის საკვირველი: ჭრელ-ჭრულა ნაკუწებისაგან შეკოწიწებულ საინფორმაციო ტილოზე საოცრად ერთი ტონისაა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებისადმი მიძღვნილი ინფორმაციათა [illegible]. „ჭარბობს მოტივი: ისინი გვერგო მემკვიდრეობად წარსულისაგან, როცა ნამდვილად მწვავე პრობლემები იჩქმალებოდა, ცხრაკლიტულში იყო", — ამბობს ა. პოპკოვი, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელსაც დნესტრისპირეთსა და აფხაზეთში სამშვიდობო მუშაობის გამოცდილება აქვს. ეს ახლა გაბატონებული, უთუოდ უტყუარი თვალსაზრისი თავის ჩრდილში აქცევს მეორეს, ალტერნატიულს და, [illegible] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არანაკლებ სწორ შეხედულებას: ყველა კონფლიქტი გაღვივებული და გაჩაღებულია გარედან ჩარევის შედეგად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქვთ რა ფესვები, მათ კონკრეტული ავტორებიც ჰყავთ. მოამზადებენ რა ნიადაგს დასათესად, [illegible] ცეცხლს ნავთს უმატებენ, ჩქმალავენ ნამდვილ „ავტორებს", მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ზოგიერთს სავსებით დამსახურებულად შეუძლია იჩემოს თანაავტორობის გვირგვინის მიღების პრეტენზია.

მარადიული კითხვა „რა ვაკეთოთ?" ბადებს კეთილმოსურნე რეკომენდაციათა ბობოქარ ნაკადებს. ჩემი აზრით, ვერც ერთი მათგანი ხორცს ვერ შეისხამს იქ, სადაც ოქრო მახვილს ჭედს და სადაც „დაწესებულება კანონს ცვლის და ჟურნალისტის მანიპულაციას ეწევა" (ა. სიმონოვი, საჯაროობის დაცვის ფონდი). კატრინ ლალიუმიერმა, როცა შეეხო პრესაზე ტექნოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური ზეგავლენის პრობლემას, — წამოიძახა: „ფული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აბინძურებს!" მაგრამ იქვე ფიქრიანად მსჯელობს იმ თვალსაზრისით, რომ ვერავინ დაეხმარება ჟურნალისტებს გაასუფთაონ კორპორაცია, თავად ჟურნალისტების გარდა. ვერ გეტყვით, რამდენად შეიძლება ეფექტიანი გამოდგეს აქ ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომელიც სიტყვის თავისუფლების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ პ. გუტიონტოვმა შეიმუშავა. ველოსიპედი დიდი ხანია გამოგონილია, რომლის პედლებს შეთანხმებულად ატრიალებს მთელი მსოფლიოს ცივილიზებული პრესა. იმას, ვისაც ეს არ სურს, თვით ჟურნალისტები უნდობლობას უცხადებენ. ჩვენთვისაც არ იქნებოდა ეს ურიგო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხილულ მუტაციას, პოლიტიკური ყაიდის კულისებსმიღმა — მიზანმიმართულ ჟურნალისტიკად და სკანდალური ეპატაჟის ჟურნალისტიკად რომ გადაგვარდნენ, კოლექტიური ხარაკირის საშიშროება ახლავს. რეპორტიორები ცალ-ცალკე არ იხოცებიან.

### თავის განწირვა

დააგვიანდა გამოდარებას,
სიკვდილი დადის სისხლიან თახით,
განა სიცოცხლე დაგენანება, —
თავის განწირვას არა აქვს ფასი.
შენს გაკეთებულს არავინ ზედავს.
ვილაც აფუჭებს
რასაც აკეთებ.
ვერ გაუკვალავ ქარაფებს მხედარს
და ვერ დაპირავ სახნის-საკვეთელს.
გღალატობს,
ჯერ რომ უყვარდი გუშინ,
თანაც გიგინებს ხალოცავს მდუმარს,
მახვილს შურისას გაგიყრის გულში
და გაოგნებულს გაგწირავს უმალ.
ფულის გულისთვის შეეკვრის ვერაგს,
ფულია მისი ცხოვრების სარკე,
მერე მოძებნის,
ქცეული გველად,
უცხო მხარეში გასაძრომ-სარკმელს...
ნააკვნარს შენსას ყორანი აზის,
შენი გზაწვრილი ისევ გზაწვრილობს,
თავის განწირვას არა აქვს აზრი
და თავი მაინც უნდა გაწირო.

### ოთხმოცდაცამეტი წელი

ქართულ მიწაზე საშიში დრამა.
სასტიკად მოსული მტერი —
ყველა მხრის.
მკლავმოხსნილი შვილი თუ მამა,
გადაკაფული ერის ვენახი.
ჩასაფრებული ციხის კარებთან
შური ქცეული სიკვდილის კევრად,
არ დანდობა და
არ შეწყალება,
ბავშვთა ცრემლებით დამბალი კერა...
აფეთქების ხმა გამაგდებს გარეთ
და გამძაფრება ტყვიათა ელვის,
შემოფეთება შეშლილი ღამე,
შავ სუდარაში იწივლებს გველი.
სიავე ჰყვავის,
ცოდვი ალმურობს,
ღალატის შუბი — გულისგულამდის...
აი, ასეთი არის, მამულო,
სისხლით დაფერილ დღეთა სურათი.

### სოხუმის ღამე

ჟიული შარტავას ხსოვნას

სიკვდილს უხმობდა სიკვდილი,
შხამში აწებდა ენასა,
იფერფლებოდა სოხუმი,
წყევლიდა ბედისწერასა.
ცეცხლი ეკიდათ ტანზედა
ვაჟკაცებს ლომისფერასა,
ცრემლით ტოვებდნენ დედანი
თავის ნაფერებ კერასა.
ტალღას მიჰქონდა აკვანი,
ბავშვი ითხოვდა შველასა,
ვინ გაუძლებდა, რომელი
ამდენა სისხლის დენასა...

## გიორგი გიგაური

[illegible]
არწივის ბუდე ძირსა.
ის კი უკუნეთ ღამეში [illegible]
ისევ [illegible] ელოდა.
მკერდს [illegible] ნათელი,
რწმენის გვირგვინი შვენოდა.
არა ქრებოდა იმედი.
არ კნინდებოდა ქველობა,
თუმც სხვაზე კარგად იცოდა
მგლის მგლობა,
გველის გველობა.
...და როცა შანთით აწამეს,
დასცინა მტრების ხელობას, —
მშვიდი და გაუტეხელი
ბედის სიმღერას მღეროდა.

1993 წლის ოქტომბერი.

### დედას ტყვია არ ეკარება

ცხედარს შვილისას დაეძებს დედა,
არ ერიდება ცეცხლსა და ტყვიას,
წინ გადადგომას ვერავინ ბედავს,
ლაშქარი დედის ცრემლების ტყვეა.
ფრონტის ხაზს მისდევს
გამეხილ პირით,
თმებჩამოშლილი
ძუ ლომს მაგონებს,
კაცი კი არა ბუნებაც ტირის
ბედკრული დედის ზარის გამგონე...
და დედას ტყვია არ ეკარება,
დედობის მადლი ამარცხებს ტყვიას,
სიკვდილ-სიცოცხლის მძიმე კარებთან
დგას და...
სისხლის და ცრემლების ტყვეა.

### დაგმე სიავე, სიკვდილო

იქნებ შევრიგდეთ, სიკვდილო,
იქნებ მოვრიგდეთ ზავითა,
სიკეთეს დაუძმობილდი,
ბოროტების დრო წავიდა,
მოგორავს ბედის ბორბალი,
ნუ გადაღებავ შავითა.
ეცადე, ხიმი სიცოცხლის
გალაღდეს მთა და ველადა
და გათამამდეს სიმღერა
გამხდარი ნანატრელადა;
ლურჯი ნათელი დილისა
აღარ გვიქციო ბნელადა.
დაგმე სიავე, სიკვდილო,
დამგუბებელი ცრემლისა,
იყავი შემწყნარებელი
სამყაროს მაჯისცემისა,
აკმარე წუთისოფელსა
ნათიბი შენი ცელისა...

### გაძლება...

ვერ გავიკვლიე სავალი,
გზა ვერ ვუქციე ლოდებსა,
ხელი ამოხვლას აპირებს,
გული უწყალოდ გოდებსა.
საყვედურებით მავსებენ,
მაწერენ სხვათა ცოდვებსა,
ენებად გაკრეფილები,
აყოლილები მოდებსა,
განგებავ, გამაძლიერე,
გავუძლო ამდენ ბოდვებსა,
მოვთოკო შურისძიება
ატეხებულმა კბოდესა,
ვარჩიო სიბრძავე
სიავე — სიბოროტესა.

### სევდაც, სიხარულიც

ახალგაზრდობა წყალზე გავიდა,
ისე წავიდა არც მანუგეშა,
ჯალმა დატოვა ოქროს ნავი და
გადაიკარგა სადღაც უგეშოდ.
წყენით გავყურებ მეორე ნაპირს,
აღარ შემშვენის ტალღის გაპობა.
ძნელი ყოფილა სახელი პაპის
და გემრიელი თვითონ პაპობა.

# ნუ ჩავცემთ გულში ლახვარს!

## ხმა ერის გასაგონად!

**თითქმის ორი წლიწადია, რაც აჭარის ხელმძღვანელობის კრიზაში მდგომი პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც თავის დროზე ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაღწიეს და შემდეგ საქართველოს პარლამენტშიც დაიდეს ბინა, ხმალამოღებულნი იბრძვიან, რათა მშვიდობიანმა აჭარამ, როგორც საქართველოს ნაწილმა, დანარჩენი საქართველოს ბედი გაიზიაროს, ურთიერთსიძულვილის, დაუნდობლობის, მკვლელობისა და ძარცვა-გლეჯის ასპარეზად იქცეს.**

ამ ბარბაროსული მიზნის მისაღწევად იყენებენ თითქმის ყველა ხერხსა და საშუალებას.

ე. წ. ეროვნული ძალები [illegible] ხელმძღვანელობენ: რაკი აჭარა მშვიდობას ინარჩუნებს და ამ მხრივ საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებულად ცხოვრობს, რაკი [illegible] მშვიდობასა და საზოგადოებრივ წესრიგს აქ კვლავ გაბატონებული მდგომარეობა უკავია, მაშასადამე, ის თავს საქართველოსაგან მოწყვეტილად აცხადებს და სადღაც განზე მაცქერალ სეპარატისტთა ბუნაგად გვევლინება.

ეს რომ ასე არ იყოს, აჭარის საზღვრებზე გზას არ გადაუღობავდნენ შეიარაღებულ ბანდებს, თავს ხან გვარდიის და ხან მხედრიონს რომ უწოდებენ და აჭაური მოსახლეობის დოვლათი და ზოგჯერ სიცოცხლეც კი მათი საკბილო გახდებოდა.

ე. წ. ეროვნული ძალები, თავიანთი აზრით, მარჯვედ იყენებენ სარწმუნოებრივ ფაქტორს და [illegible] თავისთვის სასარგებლო დასკვნები გამოაქვთ. საქართველო ოდითგანვე ქრისტიანული ქვეყანაა. მისი სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, აჭარაში მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რელიგიას — ისლამს აღიარებენ. მაშასადამე, რაკი ასეა, აჭაურ სახელმწიფო მოღვაწეებს, უპირველეს ყოვლისა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს — ასლან აბაშიძეს, თვალი თურქეთისაკენ უჭირავს და თუ ქართველი პატრიოტები, ქართველი კი მხოლოდ ქრისტიანია, მარჯვედ არ ვიქნებით და მას, ასლან აბაშიძეს, ნიღაბს დროზე არ ჩამოვგლეჯთ, ერთ მშვენიერ დღეს აჭარა ერთმორწმუნე თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდება.

როგორ მოგწონთ, მკითხველო, აზროვნების ლოგიკური თანამიმდევრობა?

[illegible] პოლიტიკოსებისათვის არაფერს წარმოადგენს ისტორიული ფაქტი, რომ საქართველოს განუყოფელი ნაწილი აჭარა მტაცებელმა ოსმალეთმა სამხედრო ძალის გამოყენებით მოსწყვიტა დედა-საქართველოს, უძველესი ქრისტიანული მხარე, სადაც პირველი ქრისტიანები ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, მთელი საქართველოს გაქრისტიანებამდე სამი საუკუნით ადრე გაჩნდნენ, ძალით გაამაჰმადიანა და მისი ეკლესია-მონასტრები, საქართველოს მიწა-წყალზე პირველი ქრისტიანული საკულტო ნაგებობები, მეჩეთებად აქცია. ადგილობრივ მოსახლეობას სარწმუნოება დამპყრობელმა უხეში ძალით კი შეუცვალა, მაგრამ უმთავრესი ვერ შეძლო, აჭარელ ქართველ კაცში ვერ ჩაკლა ქართული სული, ძირფესვიანად ვერ ამოძირკვა ქართული ეროვნული ტრადიციები და აჭარელი ქართველი ფანატიკოს მაჰმადიანად ვერ აქცია.

როცა 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მტრის მიერ სამასი წლის წინათ მიტაცებული აჭარა რუსული იარაღის მეშვეობით კვლავ სამშობლოს დაუბრუნდა, ადგილობრივმა ქართველობამ, თურქეთის მონობიდან რომ გამოვიდა, როგორც ერთმა კაცმა, მხარი თავის ქრისტიან სამშობლოსთან შეერთებას და სამასი წლის წინათ შეწყვეტილი ცხოვრების გაგრძელებას დაუჭირა. ომში დამარცხებულ ოსმალებს სხვა გზა აღარა ჰქონდათ, უნდა დაეთმოთ მიტაცებული ქართული მიწების ერთი ნაწილი — აჭარა და მისი უკან დაბრუნების იმედი შორეულ მომავლისათვის გადაედოთ. თურქულ მეტროპოლიასთან ამიერიდან აჭარას მხოლოდ ძალად დანერგილი და გავრცელებული სარწმუნოება აკავშირებდა, რომელიც თურქ პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრით, მომავალში მისი უკან დაბრუნების მთავარი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

როცა საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდნენ და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, საზავო მოლაპარაკების დროს ხელახლა წამოიჭრა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის საკითხი. თურქმა დიპლომატებმა, რადგანაც საქართველოს ამ განუყოფელი კუთხის — აჭარის უკან დაბრუნება ვერც ომისა და ვერც მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ვერ მოხერხდა, აჭარის ქართველობა დანარჩენ ქართველობაში რომ არ ათქვეფილიყო და მას ძალად მიღებული მაჰმადიანობა არ დაეკარგა, აჭარისათვის პოლიტიკური ავტონომია მოითხოვეს, რასაც კომუნისტური ხელისუფლება სიამოვნებით დათანხმდა. ასე გაჩნდა ქვეყნის პოლიტიკურ რუკაზე ჯერ „აჭარისტანი", ხოლო შემდეგ „აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", რომელმაც კომუნისტური იმპერიის დანგრევამდე იარსება.

რადგანაც აჭარას ავტონომიის სტატუსი ჰქონდა, მეტროპოლიის ცენტრშიც და პერიფერიებშიც აჭარლებს (ცალკე ხალხად) თვლიდნენ. არარსებული აჭარული ენიდან, თქვენ წარმოიდგინეთ, წიგნებსაც კი „თარგმნიდნენ" და მოსკოვში სცემდნენ. ერთხელ აჭარის კულტურის დეკადის მოწყობაც კი დააპირეს. გულს ხომ არ დაწყვეტდნენ „ეროვნულ უმცირესობას!" ცოტას თუ ვინმეს ნახავდი საბჭოთა კავშირში, ვისაც აჭარლების ეროვნული ვინაობისა რამე გაეგებოდა, რომ აჭარლები ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ, მათი ენისა და კულტურის თანაზიარნი, მხოლოდ თავს ძალად მოხვეული მაჰმადიანური სარწმუნოება ასხვავებდათ.

ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომლებსაც თურმე ისე აწუხებთ „აჭარის საკითხი", ძილს უფრთხობთ ფიქრი იმაზე, თუ საით იყურება აჭარა და მისი ხელმძღვანელობა, ისტორიულ ფაქტს არ უღრმავდებიან, რადგან არც ერთი ამ ფაქტთაგანი მათ წისქვილზე არ უშვებს წყალს. ისინი მხოლოდ სარწმუნოების საკითხს სწევენ წინა პლანზე და თავიანთ შემდგომ მსჯელობას მხოლოდ ამ ფაქტზე აფუძნებენ.

ალტერნატიული პრესა, ადგილობრივი თუ თბილისში გამომავალი, სავსეა თვითნებური მსჯელობებითა და მტკიცებებით. ამტკიცებენ, მაგალითად, რომ ბათუმში და მთლიანად აჭარის ტერიტორიაზე, იდევნება ყოველივე ქართული, სდევნიან ყველა ქართველს და ხშირად საქმე კრიმინალურ ექსცესებამდეც კი მიდის.

წაიკითხავს ამ მკრეხელურ აზრის შემცველ ინფორმაციას სხვა კუთხის შვილი, კახელი იქნება თუ ქართლელი, იმერელი თუ მეგრელი, რომელიც ძირფესვიანად არ იცნობს აჭარას, მის ისტორიასა და დღევანდელ დღეს და სტატიის ავტორის რა ენაღვლება, თუ გულს ეჭვის ჭია დაუწყებს ღრღნას: ვაითუ ეს ყოველივე მართალია? მართალი რომ არ იყოს, ბეჭდური წესით გაზეთში როგორ გამოაქვეყნებდნენ და სხვა. არა და, ყველაფერი სწორედ პირიქით გახლავთ! აჭარაში ყველაფერი ქართულია. აქ ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ ქართული ენა გაისმის. აქ ქმნიან და თაყვანს სცემენ ქართულ მწერლობას და ხელოვნებას. ბათუმი, აჭარის გული, ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი კერაა!

მაშ, საიდან დარხეულა ეს საშინელი ჭორი? ეს საშინელი მკრეხელობა და ცილისწამება ვისი პირიდან ამოვიდა?

შორს რომ არ წავიდეთ, ერთ შემთხვევას გავიხსენებ.

ბათუმის აეროპორტში, როცა თბილისში გასაფრენად თვითმფრინავის ტრაპზე ადიოდა, მისთვის უცნობმა პირებმა დააკავეს მოქალაქე თამაზ დიასამიძე. ეს პატივცემული პიროვნება, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით დაუყოვნებლივ, 10-15 წუთის შემდეგ გაათავისუფლეს, ამ შემთხვევის გამო ბათუმის ერთ-ერთ ალტერნატიულ გაზეთში წერდა: „გამტაცებლები გამოირჩეოდნენ ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური სიძულვილით".

თუ გავიხსენებთ, რომ მოქალაქე თამაზ დიასამიძე საქართველოს პარლამენტის წევრია, საქმე მთელი სერიოზულობით წარმოგვიდგება. ამავე დროს ბატონი დიასამიძე აჭარელი კაცია. აქ დაიბადა და გაიზარდა. იმაზე უკეთ ვის უნდა მოეხსენებოდეს ადგილობრივი ვითარება!

ერთხელ ვწერდი და ახლაც მინდა გავიმეორო: ვინ იყვნენ ნეტავ „გამტაცებლები", რას ემართლებოდნენ პატივცემულ დეპუტატს, რომლის პიროვნება ხელშეუხებელია, რა ენაზე მეტყველებდნენ, როგორ მოასწრეს იმ 10-15 წუთში „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური სიძულვილი" გამოემჟღავნებინათ? სად შეიძლება იპოვნო აჭარაში თუნდ ერთი, თუნდ ნახევარი კაცი, „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს" რომ ამჟღავნებდეს?

ამოცანა სულ ადვილად ამოიხსნება, თუ ამ გაზეთის ფურცლებზე ერთხელ უკვე გამოქვეყნებულ კიდევ ერთ ცნობას განმეორებით გამოვაქვეყნებთ. ეს გახლავთ ოფიციალური მიმართვა პარლამენტის თავმჯდომარისადმი, რომელსაც ხელს აწერს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ალექსანდრე გობრონიძე.

აი, რას ვკითხულობთ [illegible]:

„მიმდინარე წლის 7 აპრილს ბათუმში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები... ფაქტობრივად მათი [illegible] ატარებდა მიზანმიმართულ პროვოკაციულ ხასიათს, რაც აშკარად ჩანს მათ მიერ უკანასკნელ ხანს გაკეთებული განცხადებიდან, თითქოს აჭარაში შექმნილი იყოს მძიმე, არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება და ამჟამად აქ არსებული სიტუაცია ისეთი იყოს, როგორიც იყო აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების წინა პერიოდში, აგრეთვე მათი მიმართვიდან სახელმწიფოს მეთაურისადმი გაემიჯნოს ბატონ ასლან აბაშიძეს... აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით თავს ვალდებულად ვთვლი მოგმართოთ... პარლამენტის ყველა წევრს, ვისაც გული შესტკივა საქართველოს ერთიანობაზე და გაგებით ეკიდება აჭარაში არსებულ ვითარებას, ჯეროვანი შეფასება მისცეთ პარლამენტის ზოგიერთი წევრის მოქმედებას..."

აი, რა მისიით ყოფილან ბატონი თამაზ დიასამიძე და მისი პარტიული თანამებრძოლები ბათუმში, აი, რა სიმართლე, რა ობიექტური ჭეშმარიტება უქადაგიათ და რა მასპინძლობა გაუწევიათ აჭარლებს აეროპორტში, როგორ განუზრახავთ დიასამიძის მოტაცება, კიდევაც მოუტაციათ, მაგრამ 10-15 წუთის შემდეგ საქმეში ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები ჩარეულან და ახალი პროვოკაცია თავიდან აუცილებიათ.

დიასამიძის შურისძიების გრძნობა უსაზღვროა. ის დანარჩენ საქართველოსთან აბეზღებს თავის მშობელ და გამზრდელ კუთხეს, აჭარას, რომ აქ თითქოს „ანტიქართული ძალები" თარეშობენ და რომ ეს „ანტიქართული ძალები" „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებენ"!

ვინ ამბობს ამას? საქართველოს პარლამენტის წევრი, წარმოშობით აჭარელი! დაეჯერება? ვერწმუნოთ მის სიტყვას? რასაკვირველია! სხვას ვილას უნდა დავუჯეროთ, თუ არა მას?!

რა ჭკუაზე დადგება საქართველოს სხვა რეგიონების ქართული მოსახლეობა, მთელი ქრისტიანი ქართველობა, ვის ყურამდეც ამ შემაზრზენმა ინფორმაციამ პრესის საშუალებით მიაღწია და ვისაც საქმის ნამდვილი გარემოება მეტნაკლებად გაეგება?

ე. წ. ეროვნული ძალები, საქართველოს რესპუბლიკური პარტია [illegible] მისი [illegible] ვერსიასაც ამტკიცებენ. ამ ვერსიის თანახმად, აჭარის ხელმძღვანელობას რუსული ორიენტაცია უჭირავს, რუსებს აჭარაში ეპატიჟება და მათი მეოხებით დანარჩენ საქართველოსაგან ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ გამოყოფას ლამობს.

ამის დამადასტურებლად მიაჩნიათ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კეთილი ურთიერთობა რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებთან, რომლებიც რუსეთ-საქართველოს სათანადო ხელშეკრულების თანახმად, ბათუმში დგანან.

რა ვუყოთ, თუ ორივე ეს ვერსია ერთმანეთს ეწინააღმდეგება, უფრო მეტიც, ერთმანეთს გამორიცხავს. ეს არავის ადარდებს. მთავარია, [illegible] ესროლო [illegible] ბას, პირადად [illegible] ასლან აბაშიძეს, საქმე ისე დახატო, რომ ის საქართველოს მტერია და თუ ეს როგორმე [illegible] დება, ყველა [illegible] ბა მისაღები.

აღარ გავიმეორებ [illegible] წერილების დედააზრს, რომლებიც ამ წლინახევრის განმავლობაში [illegible] რესპუბლიკის პრესის [illegible] იმას [illegible] დროის მანძილზე ე. წ. ეროვნული მოძრაობის მცდელობებს, როგორმე საზოგადოების შინაგანი განხეთქილება მოეხდინათ აჭარაში, მისი ერთი ნაწილი მეორესათვის დაეპირისპირებინათ, არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. მათ საბოლოოდ გაიტეხეს სახელი და მშობლიურ კუთხეში გამოსაჩენი პირიც აღარა აქვთ. ეს ნათლად გამოვლინდა იმ სამახსოვრო დღეებში, როცა საქართველოს პარლამენტი აჭარას ეწვია და ქუჩებში ტრანსპარანტები დახვდა: მივესალმებით საქართველოს პარლამენტს ამისა და ამის გამოკლებითო. სწორედ ეს გამოკლებულნი იყვნენ ის დეპუტატები, წარმოშობით აჭარის მკვიდრნი, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმის დასამტკიცებლად, რომ მათი მშობლიური კუთხე აჭარა სადღაც სხვაგან იყურება, „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებს" და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დარღვევით ემუქრება!

რა არის ამის დამადასტურებელი უპირველესი სიმპტომი? თუნდაც ის, რომ აჭარაში მიმავალმა კაცმა, რითაც უნდა მიდიოდე, ცეცხლსასროლი იარაღი, თუ ასეთი გაქვს, მის საზღვარზე მდგომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელს უნდა ჩააბარო. აჭარა უიარაღო ზონაა! აქ იარაღს მხოლოდ ისინი ფლობენ და ატარებენ, ვისაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალება!

ეს გარემოება წონასწორობას უკარგავს ე. წ. ეროვნულ ძალებს, რადგან იარაღის გამოუყენებლად არც მათ და არც მათ მხარის [illegible] არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ!

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და მთელ მოსახლეობას მიაჩნია, რომ შეიარაღებული ფორმირებების, თუნდაც რამდენიმე შეიარაღებული პირის აჭარის ფარგლებში შეშვება დესტაბილიზაციას გამოიწვევს და აჭარაც ისევე გადაიქცევა ძარცვა-გლეჯის, მკვლელობების და ტერორის ობიექტად, როგორც დანარჩენი საქართველო. ამიტომაც ფხიზლობენ, რათა ეს მოურჩენელი ეპიდემია არ მოედოს აქამდე ძალადობისაგან დაცულ ოაზისს [illegible] ავტონომიური რესპუბლიკის [illegible] არ გაიზიარა [illegible] გაჭირვება, [illegible] დანარჩენ ქართველობას არაკაცებმა არგუნეს.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის თქმა და მტკიცება, რომ სიტუაციის [illegible] კონკრეტული [illegible] და [illegible] უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძეა და ამიტომაც დესტაბილიზაციაზე მეოცნებეთა [illegible] ძალისხმევა [illegible] არის მიმართული. [illegible] ასლან აბაშიძე, არ იქნება მისი მტკიცე ხელი და გამჭრიახი გონება, ერთადერთი მშვიდობის ციტადელიც დაეცემა საქართველოში და ქვეყანას კიდით კიდემდე ქაოსი მოიცავს!

ადგილობრივ მოქმედ ოპოზიციურ პარტიებს, რომელთაც მხურვალე მხარდაჭერა თვით რესპუბლიკის პარლამენტიდან აქვთ, რომ შესწევდეთ უნარი და ძალა მშვიდობიან აჭარაში არეულობის მოსახდენად, ამ არეულობას დიდი ხნის წინათ მოახდენდნენ და დღეს უკვე აღარაფერი გვექნებოდა მათი ხელყოფისაგან დასაცავი, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მათ ეს ძალები არ გააჩნიათ და იძულებული ხდებიან, იგი ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ეძიონ!

და რა გგონიათ? ამ ბოლო დროს მათ კიდევაც მიაღწიეს საწადელს. არევ-დარევა აჭარის გარეთ მოახდინეს და ის აჭარაში მზამზარეულად შეიტანეს, რითაც თავიანთი მშობლიური კუთხე, რომელსაც აქამდე არაფერი ემუქრებოდა, დიდი განსაცდელის წინაშე დააყენეს!

ამ სამიოდე დღის წინათ ვიყავი ბათუმში, ვიყავი ცნობილი ჟურნალისტის გია ჭელიძის ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის წაკითხვის შემდეგ და, მეტი რომ არა ვთქვა, იქ ნანახმა და განცდილმა თავზარი დამცა.

ყველაფერი ამას წინათ აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებით დაწყებულა. როგორც ცნობილია, მთიანი აჭარა მეწყერმა დაანგრია და მიწასთან გასწორებული აჭაური სოფლები ხეობებში ჩამოიტანა. მაშინ მთელი საქართველო აღსდგა გაჭირვებაში ჩავარდნილი აჭარელი ძმების დასახმარებლად. მეზობელმა რაიონებმა უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით სული აჭარელი შეიფარეს, დასასახლებლად მიწა-წყალი გამოუყვეს, სახლები აუშენეს და რაც გააჩნდათ, ძმებს ძმურად გაუყვეს. მაგრამ ეს მოხდა ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ხელისუფლების სათავეში არა ეროვნული ძალები, არამედ კომუნისტები იდგნენ. გაჩნდა იმედი, ხალხმრავალი აჭარის ჭარბი მოსახლეობით, ქართული ეროვნული ელემენტით შეგვევსო ისეთი რეგიონები, როგორიც არის სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი.

იმხანად აჭარელთა 4781 ოჯახი, ანუ 15 ათასზე მეტი ადამიანი ჩასახლდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ჩვენ ყველანი, ახალმოსახლენიც და აბორიგენებიც, ქართველები ვიყავით, ჩვენი ეროვნული გენი გვეძახდა და გვამხნევებდა. სარწმუნოებრივმა აღმსარებლობამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ის არც არავის გახსენებია, სანამ არ გაჩაღდა ე. წ. ეროვნული მოძრაობა, სანამ ქუჩის პოლიტიკოსებმა არ დაიწყეს იმის საჯაროდ განსაზღვრა, თუ ვინ იყო საქართველოში სტუმარი და ვინ მასპინძელი, სანამ არ ამბოხდნენ ჯერ ოსები და შემდეგ აფხაზები.

და აი, ამუშავდა „თავისუფალი პრესა", თავი წამოყვეს ვითომდა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლმა უწიგნურმა ადამიანებმა, რომელთაც ამ წუთებამდე სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩხირი ჩხირზე არ დაუდოთ და ბოლოს აღმოაჩინეს, რომ ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრები და ფესვგადგმული აჭარლები „ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებენ".

დაიძრა მეწყერი და ბოლო ხანს იგი, არც მეტი, არც ნაკლები, მთელ საქართველოს მოედო. ადგილებზე გაახსენდათ, რომ აჭარლების სარწმუნოება „თათრების" სარწმუნოებაა. ამოტივტივდა სენტენცია: ვინც მუსულმანია, თათარია! მაშ, რა უნდათ აჭარლებს საქართველოში. წავიდნენ თავიანთ სათათრეთში, ე. ი. აჭარაში და სანამ ცოცხლები არიან, პირში სული უდგათ, იქ იცხოვრონ!

როგორ არ უნდა შეინძრნენ დიდი ილიას ძვლები სამარეში, როგორ არ უნდა იგრგვინოს [illegible] ზარმა! ეს რა ხდება, ხალხო? ეს რა ამბავი ჩვენს უბედურ თავს? შავი და თეთრი ერთმანეთისაგან ვეღარ გაგვირჩევია? ვის ვუჯერებთ. მშობელი კუთხის მაგინებელ [illegible] და ბერძენიშვილს, [illegible] კი, მისი ალფრთოვანება აჭარის [illegible], ზეიმი ჩვენს [illegible] აჭარელი ქართველის [illegible] აღარაფრად ჩაგვაჩნია? ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ იმ ტოტს ვჭრით, რომელზედაც ვსხედვართ, მოსისხლე მტრის გასახარად ჩვენ თვითონ, საკუთარი ხელით ვანგრევთ ჩვენს ეროვნულ ერთობას, რომელიც თაობათა თავგამოდებული მეცადინეობით ჩვენამდე შეურყვნელად მოსულა?

დღეს შემზარავი, საქართველოს ისტორიაში გაუგონარი ფაქტის წინაშე ვდგავართ. ბათუმში და ბათუმის გარშემო თავი მოუყრია აჭარელთა ათასზე მეტ ოჯახს, რომლებიც სულ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ჩავასახლეთ. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება და კაცმა არ იცის, სადამდე მიაღწევს! უკვე დაბრუნებულია 1463 ოჯახი. პირველობის პალმა ახალქალაქის რაიონს ეკუთვნის. აქედან 598 ოჯახი აყრილა და გამოქცეულა, აბაშიდან — 252, გორიდან — 260, ხონიდან — 326, გარდაბნიდან — 249, ზუგდიდიდან — 200, მარნეულიდან — 270, წალენჯიხიდან — 60, ჩხოროწყუდან — 52 და ა. შ.

აჭარის ხელისუფლება გაოგნებულია, დანა პირს არ უხსნის. საგონებელშია ჩავარდნილი ასლან აბაშიძე. მდგომარეობა თითქმის გამოუვალია. სად დააბინაონ ამდენი ლტოლვილი, რა უპასუხონ, რად მოხდა ეს, რად გაწირა ამდენი ღვიძლი შვილი საკუთარმა სამშობლომ და ბოლოს, რა აჭამონ ადამიანებს, რომელთა ნახევარზე მეტი მცირეწლოვანია, რით გაღონიერდნენ, როცა ყოველი ლუკმა პური საძებარია!

ჩვენი კაცთმოყვარე აჭარა, მშვიდობის ოაზისი, ქართული ხელოვნებისა და სპორტის თავშესაფარი, აბორგებულ ვულკანს მიაგავს. არავინ იცის, ეს ვულკანი როდის ამოიფრქვევა და ყველასა და ყველაფერს როდის წალეკავს!

მე ვხედავ ჩვენს პარლამენტს, მისი ზედა ნაწილის მარცხენა მხარეს. ვხედავ გაბრწყინებულ სახეებს. აქა-იქ ტაშიც გაისმის. კიდევ ერთი წარუმატებლობა, ამჯერად უკვე აჭარაში! არც ახლა გადადგება შევარდნაძე? არ წავა მთავრობა? ქუდს არ დაიხურავს ასლან აბაშიძე და მისი გუნდი?

ეს არის, ძმებო, შვილებო, ეროვნული მოძრაობა? ამას ვესწრაფოდით და ამაზე ვოცნებობდით? აი, სადამდე მიგვიყვანა ქუჩის პოლიტიკამ, უფრო მაღალ სახელმწიფოებრივ პოსტს მოწყურებული პარლამენტარების მეთაურობით დღემდე რომ გრძელდება და ქვეყანას უფსკრულში ჩანთქმას უქადის?

ისღა მრჩება, მოვუწოდო მთელ საქართველოს, ყველას, ვისაც საღი აზროვნების უნარი კიდევ შერჩენია, ყურიდან ბამბა გამოვიღოთ, ახლა მაინც მოვეგოთ გონს, სტიქიური უბედურების დროს ჩვენივე სურვილით ჩასახლებული აჭარლების ფუძის მოშლით და თავის შერცხვენით საბოლოოდ ნუ ჩავცემთ გულში ლახვარს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს! ვიცოდეთ და სხვასაც გავაგებინოთ, რომ ხვალ უკვე გვიან იქნება, დაკარგულს ვეღარავინ დაგვიბრუნებს!

**რევაზ ჯაფარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინფორმაცია

### „იბერიის“ ლენტიდან

### 300, 200 და ასე შემდეგ

საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან ბოლო ხანს დაითხოვეს 300-მდე ოფიცერი. დაგეგმილია ოფიცერთა კადრების შემცირება კიდევ 200-მდე ოფიცრით. საქართველოს სამხედრო დოქტრინის თანახმად, საქართველოს ეროვნული არმია 15 ათასი მეომრისაგან იქნება შემდგარი.

### მკვლელობა საავადმყოფოში

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 15 ივლისს, 05 სა-თსა და 15 წუთზე თეთრ ხალათებში გამოწყობილი ოთხი დაუდგენელი ბოროტმოქმედი შევიდა ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში. მათ ავტომატიდან გასროლით მოკლეს ავადმყოფი — საბურთალოს ქუჩა 19-ში მცხოვრები ალეკო ბალიაშვილი.

მიმდინარეობს გამოძიება.

### ეროვნულ-დემოკრატების აღშფოთება

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრმა „იბერიის“ კორესპონდენტს მიაწოდა შემდეგი განცხადება:

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი აღშფოთებას გამოთქვამს მორიგი ტერორისტული აქტის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შტაბ-ბინის დაცხრილვის გამო და მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთონ მსგავსი ფაქტები, რომლებიც უკვე მერამდენე წელია გრძელდება თბილისში“.

### თემურ ჯიბლაძე გვპირდება

თბილისის საპასპორტო და სავიზო განყოფილების უფროსმა თემურ ჯიბლაძემ განაცხადა, რომ საფრანგეთიდან უკვე ჩამოტანილია 150.000 ცალი ქართული პასპორტი და უმაღლესი ხარისხის პირადობის მოწმობა თბილისის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად. პირადობის მოწმობათა გასაცემად, ფაქტობრივად, ორ კვირაში მზად იქნება თბილისის ყველა საპასპორტო განყოფილება. ყველა რაიონი უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური ფოტოლაბორატორიით, რომელთაგან სამი უკვე გადაეცა ქ. თბილისს უსასყიდლოდ. დანარჩენი ფოტოლაბორატორიების შესაძენად თბილისის მერია გაიღებს სახსრებს.

### ქლორი — რამდენიც გინდათ

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაერთიანება თბილწყალკანალს არ აქვს საკმარისი რაოდენობით ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტი, როგორიც არის ქლორი, ჭორილია.

თბილწყალკანალი მოსახლეობას აცნობებს, რომ ამ მხრივ საგანგაშო არაფერია. ქლორი საკმარისი რაოდენობით არის და ამის გამო წყლის მიწოდება მოსახლეობას არ შეუფერხდება.

ქლორი არის, თქვენ სხვა რამე იკითხეთ...

### მერის თხოვნა

თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა თხოვნით მიმართა ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსს დემურ მიქაძეს. კვირის ბოლომდე თბილისის ქუჩები გაათავისუფლონ თავისუფალ მოვაჭრეთაგან და გამოყონ ადგილები ბაზრობისათვის. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ პრესის გამსაღებლები.

### გაიყიდა? აშენდება!

თბილისის მერიის შენობაში მოეწყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებისა და ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები უნდა მოხმარდეს აკადემიის შენობის აღდგენით სამუშაოებს.

---

## ქართული კულტურის გადასარჩენად

# „იცეკვეთ, იმღერეთ, დაუკარით, ხატეთ...“

**ბოლო** დროს ხშირად გვიწვევენ კულტურის სამინისტროს სისტემის სახელოვნო საშუალო-სპეციალური სასწავლებლის, კოლეჯებისა და სკოლების მოსწავლეთა კონცერტებზე, რომლებიც შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში იმართება ხოლმე.

სააღდგომო და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილმა კონცერტებმა, რომლებიც ამას წინათ გაიმართა, სპეციალისტთა, ფართო საზოგადოებრიობისა და უცხოეთის საელჩოთა კორპუსის წარმომადგენელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

კულტურის სამინისტროს ორგანიზებულ ამ კონცერტებში მონაწილეობდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის, ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერი ხელოვნების კოლეჯიც და თბილისის სამუსიკო სკოლების მოსწავლეები. შესრულებული იყო ბეთჰოვენის, შოპენის, ლისტის, ლალიძის, რახმანინოვისა და სხვათა ნაწარმოებები. რეპერტუარის მრავალფეროვნება და სირთულე მეტყველებს ნორჩ მუსიკოსთა საშემსრულებლო ოსტატობას, მომზადების მაღალ დონეს. კლასიკურ მუსიკასთან ერთად კონცერტებზე აჟღერდა ქართული ხალხური სიმღერები თბილისის № 28 სამუსიკო სკოლის ბავშვთა გუნდის „ბიჭების“ შესრულებით.

თეატრის ფოიეში გამოფენილი იყო თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრები. აქ წარმოდგენილი იყო ოცდაათი ავტორის სამასამდე ფერწერული ტილო, გრაფიკული სერიები, თეატრალური ესკიზები და სხვა, რომლებმაც გამოავლინა საინტერესო ინდივიდუალობები და ყველა ის ტენდენცია, რაც ნიშანდობლივია თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნებისათვის.

აღნიშნული ღონისძიებების გამართვამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სახელოვნო სასწავლო დაწესებულებების პოტენციალი და თვალნათლივ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრია მათ პროფესიული კადრის მომზადებაში ქართული ხელოვნების შემდგომი წინსვლისათვის.

ბუნებრივია, ასეთი პოტენციალის შენარჩუნება სახელმწიფოსაგან განსაკუთრებულ ხელშეწყობასა და მხარდაჭერას მოითხოვს, მით უმეტეს დღეს, რესპუბლიკაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ პირობებში. ფაქტია, რომ საბაზრო ეკონომიკა ყველაზე მტკივნეულად ხელოვნების სფეროს შეეხო. სტაბილური, ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობამ ლიკვიდაციის საფრთხის წინაშე დააყენა რიგი კულტურის ობიექტები და მათ შორის სახელოვნო განათლების ქსელიც.

უმძიმეს პირობებში, ნახევრად დანგრეულ შენობებში მიმდინარეობს მეცადინეობა ისეთ ტრადიციულ სასწავლებლებში, როგორიც არის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზია, რომელიც საზოგადოებაში დღესაც ნიჭიერთა ათწლედის სახელით არის ცნობილი. კოლოსალური თანხებია საჭირო სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინსტრუმენტებისა და მასალებისათვის (საკრავები, ფუნჯები, საღებავები, ტილოები და ა. შ.), რომელთა შეძენა არც საბიუჯეტო სასწავლებლებს შეუძლიათ და, ბუნებრივია, მოსწავლეებსაც უჭირთ. არადა, თანდათანობით მწყობრიდან გამოდის, ნადგურდება, იხარჯება ის, რაც ჯერ კიდევ არის შემორჩენილი.

ძალზე დროულად და საჭიროდ გვესახება კულტურის სამინისტროს ინიციატივა საქველმოქმედო ფონდის „ქართული ხელოვნების მომავლისათვის“ დაარსების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანთა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა და სტუდენტთა ფინანსურ მხარდაჭერას, მათი შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად, პროფესიული სრულყოფის მისაღწევად, საზღვარგარეთ გამართულ პრესტიჟულ კონკურსებში, ფესტივალებში, გამოფენებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. ბევრი მიღწევის მიუხედავად, საერთაშორისო მასშტაბის ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობას ქართული ახალგაზრდობა მოკლებულია.

აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტის შემდეგ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის საშემსრულებლო ხელოვნებით აღფრთოვანებულმა ერთ-ერთი საელჩოს წარმომადგენელმა აღნიშნა: „თქვენ, ქართველებმა სხვა არაფერი უნდა აკეთოთ, იცეკვეთ, იმღერეთ, დაუკარით, ხატეთ და ამით დაიპყრობთ მსოფლიოს“.

საქველმოქმედო ფონდის „ქართული ხელოვნების მომავლისათვის“ სიძლიერე საიმედო გარანტი იქნება ხელოვანთა პროფესიული კადრის მომზადების საქმეში, მაგრამ ამისათვის ფონდის მხოლოდ დაარსება არ არის საკმარისი. კულტურის სამინისტროში პარლამენტის კულტურის კომისიაში წარსადგენად მზადდება პროექტი სათანადო ცვლილებების შესატანად კანონში „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადახდის შესახებ“. პროექტი ითვალისწინებს შეღავათების დაწესებას იმ მეწარმეთათვის, რომლებიც გარკვეულ თანხას გაიღებენ ხელოვნების დახმარების ფონდში. ეს კი ერთგვარი წამქეზებელი საშუალება იქნება საქართველოში ქველმოქმედების, მეცენატობის ტრადიციების აღორძინებისათვის, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს დიდმა საზოგადო მოღვაწეებმა დავით სარაჯიშვილმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა და სხვებმა.

**გიორგი ლალიაშვილი.**

---

## ნოდარ ყიფშიძე — ამერიკის აკადემიის წევრი

**სასიხარულო** ცნობა მოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან: ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მეცნიერი-მედიკოსი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნოდარ ყიფშიძე არჩეულია ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

მსოფლიოში ეს ცნობილი აკადემია მეტად პრესტიჟული და ამერიკის უძველესი დაწესებულება, დაარსდა 1817 წელს. ამჟამად აკადემია აერთიანებს მსოფლიოს 100 ქვეყნის სხვადასხვა დარგში მოღვაწე საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერებს.

ნიუ-იორკის აკადემიაში მოღვაწეობს 40 ნობელის პრემიის ლაურეატი და სხვადასხვა დარგის მეცნიერი.

---

# მორიგი რაუნდი

### მოსახლეობა მადლიერებით შეხვდა

**14 ივლისს** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელა მორიგი ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომელმაც მოიცვა კახეთის მთელი რეგიონი და გარდაბნის რაიონი.

ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და ადგილობრივი პოლიციის 1500-ზე მეტი თანამშრომელი, ძირითადად ითვალისწინებდა ნავთობპროდუქტების დატაცებისა და უკანონო რეწვის, ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოებისა და რეალიზაციის აღკვეთას, უკანონო იარაღის ჩამორთმევას.

ოპერაციას ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია.

უკვე დღის პირველ ნახევარში უკანონო მფლობელებს ჩამოართვეს 24 ავტომატი, 12 დამბაჩა, 18 ხელყუმბარა, 48 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა, 17 გატაცებული ავტომანქანა. განადგურდა 165 კუსტარული ბენზინსახდელი, აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი ნათესები. დაკავებულია 86 დანაშაულში ეჭვმიტანილი, მათ შორის 27 ძებნილი. ოპერაციის დროს გაიხსნა 12 სისხლის სამართლის დანაშაული.

აღნიშნული ოპერაცია ხორციელდებოდა კახეთის საავტომობილო მაგისტრალებზეც. საგზაო პოლიციის მუშაკებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერებების ოთხი გამსაღებელი და ჩამოართვეს 6 გატაცებული ავტომანქანა.

ადგილობრივი მოსახლეობა მადლიერებით შეხვდა შინაგან საქმეთა ორგანოების ამ ღონისძიებას.

---

# საბაჟოში უმართავი სიტუაციაა?

**ორი სახეობის კონტრაბანდა — ეკონომიკური და ნარკობიზნესი — მთავარი პრობლემებია საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საქმიანობაში. ამის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს ესაუბრება ამ უწყების კონტრაბანდასთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე მიხეილ ხახმიაშვილი.**

— იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის ხელისუფლებმა ფაქტობრივად შემოიღეს ეკონომიკური სანქციები, უფრო ზუსტად აქციზები, გადასახადი დამატებითს ღირებულებაზე, — თქვა მან, — ბევრი კომერციული, ზოგჯერ კი სახელმწიფო სტრუქტურა თავის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას წარმართავს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით. ასეთ შემთხვევაში მათი მოქმედება კვალიფიცირდება როგორც კონტრაბანდა, ან უკეთეს შემთხვევაში — საბაჟო წესების დარღვევა. მაგალითად, რესპუბლიკაში სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის მიერ შემოტანილი საწვავ-საპოხი მასალების აბსოლუტური უმრავლესობა გვერდს უვლის დადგენილ საბაჟო პროცედურებს. ეს ნიშნავს, რომ ამ ტვირთის მფლობელნი თავს არიდებენ საბაჟო გადასახადის გადახდას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს. ბოლო ორი წლის მანძილზე ამ თანხამ უკვე ასობით მილიონ რუბლს გადააჭარბა. სამწუხაროდ, ჯეროვანი ეფექტი არ მოჰყოლია ჩვენს მოთხოვნა-მიმართვებს როგორც სახკონცერნ „საქნავთობპროდუქტების“, ისე სხვა ორგანიზაციებისადმი, ეს უწესრიგობა შეეწყვიტათ.

— რაც შეეხება საწვავ-საპოხი მასალების ნატურალური პროდუქციის პროცენტიან გამოსაღებს, — თქვა შემდეგ მ. ხახმიაშვილმა, — დარწმუნებული ვარ, და ეს არავისთვის საიდუმლო არ არის, საბაჟო საგუშაგოებს, პრაქტიკულად არ შეუძლიათ ამ საქმის გაკეთება. ამასთან, ამ პროდუქციის პატრონებს ძალითაც ვერ აიძულებ გამოიჩინონ კანონით გათვალისწინებული ამგვარი გულუხვობა. ასე რომ, მინისტრთა კაბინეტის დადგენილება რიგ შემთხვევებში მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

— გაკვირვებას იწვევს, — აღნიშნა მან, — ის, რომ დღემდე ავიარეისებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მიმართულებით გახსნილი არ არის საბაჟო საგუშაგოები. არადა, ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, საქართველოში მომავალი მგზავრები გადიან შესაბამის საბაჟო შემოწმებას. მაგალითად, რუსეთიდან მომავალ ერთ კაცს შეუძლია გამოიტანოს სულ 50 ამერიკული დოლარი და შესაბამისი ეკვივალენტის რუსული რუბლი. ჩვენში კი, იმათთვის, ვინც საქართველოდან მიემგზავრება, დღემდე არ არის განსაზღვრული ნორმა. ამ ნორმატივების დადგენა კი შეუძლია რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სატარიფო კომისიას. და მაინც, ჩვენი მებაჟეები სარგებლობენ რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის განკარგულებით იმის შესახებ, რომ ერთ პიროვნებას ნება აქვს სახელმწიფო ფარგლებს გარეთ გაიტანოს 500 ამერიკული დოლარი, რაც, ჩემი აზრით, კანონსაწინააღმდეგოა.

**— რას გადაგვარჩენს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში რეისებზე საქართველოს აეროპორტებში საბაჟო საგუშაგოების ამოქმედება?**

— ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, სწორედ ამ ავიარეისებით გააქვთ კონტრაბანდული გზით სხვადასხვა მატერიალური ფასეულობანი — ვალუტა, ძვირფასი ლითონები და თვლები, ანტიკვარიატი, ფერწერის ნაწარმოებები, იშვიათი გამოცემის წიგნები, ძველებური ხალიჩები და ბევრი სხვა, რომელთა ექსპორტი აკრძალულია. არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ შემდგომში ყოველივე ეს შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში ხვდება. სწორედ ამ რეისებით ნარკო და იარაღის ბიზნესის წარმომადგენლებს შემოაქვთ საქართველოში და აქედან გააქვთ თავიანთი დანაშაულებრივი საქონელი.

**— რა უნდა მოვუხერხოთ ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდას, რომლებიც საქართველოში შემოდის ამა თუ იმ გზებით?**

— ჩვენი მონაცემებით, ეს ხდება გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისის, მარნეულის რაიონის სადახლოს წითელი ხიდის, დმანისის რაიონის გუგუთის, ცხინვალ-გორის, ლაგოდეხის გზების გავლით. პრაქტიკულად, ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის განხორციელებლად საჭიროა გაერთიანდეს ჩვენი და სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ძალისხმევა არა მარტო შიდა რესპუბლიკურ დონეზე, არამედ მჭიდრო კავშირიც დავამყაროთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან. დღის რეალურად ვთანამშრომლობთ მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების სამსახურთან. დადებითი შედეგები ჰქონდა მხოლოდ თბილისის აეროპორტის საბაჟო საგუშაგოს, ისიც დელი-თბილისის რეისებზე უსაქონლო ნარკოტვირთების სახით. ამ ნარკოტვირთების მფლობელნი ფაქტობრივად ვერ გამოავლინეს. ამჟამად ამგვარი ფაქტები აქ დაფიქსირებული არ არის. ყველა დანარჩენ საგუშაგოსა და პუნქტში, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონტრაბანდა, სამწუხაროდ, გამოვლენილი არ არის. მეორე მხრივ, საჭიროა დიდი ფულადი სახსრები, რათა შევქმნათ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს სრულფასოვნად ვებრძოლოთ ამ საწამლავის კონტრაბანდას.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკის საბაჟო სისტემაში არსებული სიტუაციის ფორმირებას ხელს უწყობს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის როგორც ყოფილი, ისე ახლანდელი ხელმძღვანელობის ზოგიერთი წარმომადგენლის პასიური, ზოგჯერ კი უპრინციპო პოზიცია.

---

## ხსოვნა



### სერგო მუხაშავრია

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შრომის ვეტერანი, სამედიცინო დარგის თვალსაჩინო მუშაკი სერგო მელიტონის-ძე მუხაშავრია.

დაიბადა 1923 წელს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ოთხ წელიწადს ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის საავადმყოფოში იმუშავა. საქმისა და ავადმყოფებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. შემდეგ გადაჰყავთ ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ადგილობრივი საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უანგაროდ და უშურველად ემსახურა საყვარელ საქმეს, რისთვისაც მრავალრიცხოვანი პაციენტების სიყვარულთან ერთად, უმწიკვლო სამსახურისათვის სახელმწიფო ჯილდოები დაიმსახურა.

წავიდა ჩვენგან ერთგული მეგობარი, შესანიშნავი მოქალაქე, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, უბრალოებითა და თავმდაბლობით.

მისი ხსოვნა მარად დარჩება ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

**მეგობრების ჯგუფი**

საქართველო-თურქეთის ერთობლივი კომერციული ბანკი

eurobank

„ევრობანკი“

აგრძელებს სავალუტო ანაბრების მიღებას აშშ დოლარებში შემდეგი პირობებით:

✦ სამთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 5%.
✦ სამთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის სამი თვის შემდეგ გატანით — თვეში 7%.
✦ ექვსთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ყოველთვიური გატანით — თვეში 6%.
✦ ექვსთვიანი ხელშეკრულება — დივიდენდის ექვსი თვის შემდეგ გატანით — თვეში 8%.

იურიდიულ და კერძო პირებს ბანკი გთავაზობთ ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებას. ერთობლივი ბანკის სოლიდური საწესდებო კაპიტალი თქვენი ანაბრების საიმედო გარანტიაა.

ჩვენი მისამართია:
 კ. გამსახურდიას გამზ. 25.
ტელ: 22-16-07, 22-04-11, 37-42-17.

ერთი პირის საწარმო

ფირმა „A&Co“

აგრძელებს ანაბრების მიღებას მოსახლეობისაგან

1-2 თვით 15 პროცენტი,
3-4 თვის ვადით 20 პროცენტი

ყოველთვიური გაცემით.

ჩვენი მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი 49-ა,
სპორტკომიტეტის შენობაში.
ტელ: 29-29-05.

„ჩემი მამა — ლავრენტი ბერია“.
ავტორი სერგო ბეგეჭკორი.

მკერივ გარეკანიან 500-გვერდიან წიგნში 75 ფოტო სურათია.

ფირმა „ფარი“ ღებულობს მცირე საბითუმო და საცალო შესყიდვის განაცხადებს ამ წიგნზე.

ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონით:
38-91-99, 37-10-08.

მისამართი: ბახტრიონის, №12. 10-დან 15 საათამდე.

წიგნების რაოდენობა შეზღუდულია.

ფირმა „ფარი“

რეკლამები დამზადებულია ფირმა „დრონის“ კომპიუტერულ ცენტრში.
ტელ: 93-15-00

## ჟურნალ-გაზეთების რედაქციების საყურადღებოდ!

**გამომცემლობა** „სამშობლოში“ შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, მივმართავთ იმ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რომელთაც აქვთ დავალიანება, თუ მიმდინარე წლის 20 ივლისამდე არ დაფარავენ დებიტორულ დავალიანებას, გამომცემლობის ხელმძღვანელობა იძულებულია ცალმხრივად შეწყვიტოს ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება ჟურნალ-გაზეთების გამოცემის თაობაზე.

**დირექცია.**

სასწრაფოდ იყიდება ირანული წარმოების ცელები და „შამილის ცელები“. გთხოვთ დარეკოთ დღისით 38-61-96, საღამოს 73-40-01. მიაკითხეთ შრომის სასახლეს, მეთერთმეტე სართული, ოთახი 1107.

## დაზუსტება

„**ხრ**“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „**თბილისის დროით რვა საათია**“ ერთ-ერთი მკვლელობის მსხვერპლი ვახტანგ ლანდაძე შეცდომითაა მოხსენებული ადრე ნასამართლევ პირად.

რედაქცია ბოდიშს იხდის.

საქართველოს ჰუმანიტარულ-სახელოვნებო აკადემია

აგრძელებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ა) ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი:

1. სახვით ხელოვნებათმცოდნეობა;
2. მუსიკისმცოდნეობა;
3. კინომცოდნეობა;
4. თეატრმცოდნეობა;
5. მუზეუმმცოდნეობა.

ბ) ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტი:

1. ჟურნალისტიკა;
2. ქართული ლიტერატურა და ისტორია.

აკადემიაში სწავლის ვადა 5 წელია. სწავლების მაღალი, თანამედროვე დონის გარანტიაა უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი. სწავლის ორიგინალური, არასტანდარტული მოდელით კი, აკადემია ნამდვილად პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია.

აკადემიაში სწავლა ფასიანია.

სწავლაში განსაკუთრებულად გამორჩეული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.

აკადემიაში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:

1. საშუალო, საშუალო-სპეციალური ან უმაღლესი განათლების მოწმობა, დიპლომი (დედანი);
2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 086);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. 6 ფოტოსურათი (3X4);
5. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის სამეურნეო ხარჯების ღირებულებას.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

ქართულ ლიტერატურაში და საქართველოს ისტორიაში.

უმაღლესი განათლების მქონე პირები აკადემიაში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, მე-2 კურსზე.

საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა შაბათისა და კვირადღისა) 1 ივლისიდან 10-დან 16 საათამდე საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასში“ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 55, მე-3 სართული
(ვაკის სასაფლაოსთან მდებარე ტროლეიბუსის გაჩერებასთან).

ტელეფონები: 29-35-36, 29-35-25. (10-დან 16 საათამდე).

პეგასი

---

## ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება საერთაშორისო ოსტატი ველიმირ კალანდაძე

# ანთოლოგიის მარგალიტები

**მოსკოვში** ერთ-ერთმა უცხოურმა ფირმამ დაიწყო საჭადრაკო ეტიუდების მსოფლიო ანთოლოგიის გამოცემა ინგლისურ ენაზე. ავტორი გახლავთ თბილისელი ეტიუდისტი იური აკობია. ჯერჯერობით გამოვიდა 2 ტომი, რომლებშიც თავმოყრილია მსოფლიოს ყველა დროის ეტიუდისტთა ნამუშევრები. პირველ ტომში შეტანილია 4232 ეტიუდი პატის თემაზე (ავტორი ი. აკობია). მეორე ტომში წარმოდგენილია 4492 ეტიუდი შამათის იდეაზე (ავტორები ი. აკობია და გ. ნადარეიშვილი).

საჭადრაკო ეტიუდი ხელოვნების შედარებით ახალგაზრდა დარგია. პირობითად მისი განვითარების ისტორიას უკავშირებენ 1951 წელს, როდესაც გამოვიდა გერმანელი თეორეტიკოსების კლინგისა და ჰორვიცის ეტიუდების კრებული.

ჩვენი საუკუნე საეტიუდო ხელოვნების აყვავების ხანად ითვლება. მნიშვნელოვანია ქართველ ეტიუდისტთა წვლილი ამ ჟანრის განვითარების საქმეში. ამის ნათელი დასტური ახლადგამოცემული ანთოლოგიაც გახლავთ, სადაც უხვადაა წარმოდგენილი ქართველ ავტორთა შემოქმედება. ორივე ტომში ასზე მეტი ნაწარმოებით შევიდნენ: გ. ნადარეიშვილი, დ. გურგენიძე, ვ. კალანდაძე. ასევე მრავლადაა ვ. ნეიძის, რ. თავარიანის, მ. გოგბერაშვილის, ნ. ფანჯაკიძის და თვით ანთოლოგიის ავტორის ი. აკობიას ნამუშევრები.

ანთოლოგიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მსოფლიო საეტიუდო ხელოვნების სპექტრში ქართულ საჭადრაკო ეტიუდს ეკუთვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კაშკაშა ხაზი.

დღეს ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ ქართველ ავტორთა 2 ნაწარმოებს აღნიშნული ანთოლოგიიდან. № 1 დიაგრამაზე გამოსახულია გ. ნადარეიშვილისა და მ. გოგბერაშვილის კოლექტიური ეტიუდი, რომელიც ანთოლოგიის ნამდვილი მშვენებაა. გავეცნოთ მის ამოხსნას:



1. ეa8+ მფb1 2. e8ლ ეfe4 3. მფd2 ებd4 4. მფc3 ეc4+ 5. მფb3 ეb4+ 6. მფa3 ე:e8 7. ე:e8 მფa1 8. ეe1+ b1მ! 9. ე:b1+! ე:b1 10. ეa2×!

უაღრესად დახვეწილი, ვირტუოზული თამაში ეფექტური შამათით მთავრდება. ნაწარმოები უნდა ჩაითვალოს ქართველ ავტორთა უდიდეს მიღწევად. იგი ნამდვილად ოქროს ფონდის შენაძენია.

და ბოლოს, მკითხველს ამოსახსნელად ვთავაზობთ დ. გურგენიძის და ვ. კალანდაძის ეტიუდს (დიაგრამა № 2), სადაც ფინალში ერთმანეთს ერწყმის პატისა და პოზიციური ყაიმის იდეები.



მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.